



**FRIEDRICH  
EBERT  
STIFTUNG**

**საქართველო - გერმანიის დახვეწა და უსაფრთხოება**

**სამუშაო ადგილებზე**

**თბილისი  
2013**

- წინასიტყვაობა (გვ-2-4);
- შრომის დაცვის მხრივ არსებული მდგომარეობა საქართველოში.  
სტატისტიკა: საწარმოო ტრავმები და პროფესიული დაავადებები; საწარმოო შემთხვევების გარემოებები და მიზეზები (გვ-5-21);
- პროფკავშირების მიერ განხორციელებული აქტივობები (სასამართლო პროცესები, ღონისძიებები) (გვ-22,23);
- საქართველოში შრომის დაცვის სფეროში მოქმედი კანონების და კანონქვემდებარე აქტების ჩამონათვალი და ანალიზი (გვ-24-32);
- აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში შრომის უსაფრთხოების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი (გვ-33-37);
- დასკვნები და რეკომენდაციები (გვ-38,39).

კვლევა განხორციელდა  
საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების  
მიერ ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით

## წინასიტყვაობა

ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ დაფინანსებული ამ პროექტის ფარგლებში საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებამ შეისწავლა და გაანალიზა ქვეყანაში შრომის დაცვის სფეროში არსებული მდგომარეობა. პროექტის ფარგლებში მომუშავე სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა და გაანალიზა, როგორც საქართველოში შრომის დაცვის სფეროში მოქმედი კანონები და ინსტიტუციების უფლება-მოვალეობები, ასევე ევროკავშირის (აღმოსავლეთ ევროპის) ქვეყნების კანონმდებლობა. პროექტი უპირველეს მიზნად ისახავდა საქართველოს და ევროკავშირის (აღმოსავლეთ ევროპის) ქვეყნებში შრომის დაცვის სფეროში მოქმედი კანონების და კანონქვემდებარე აქტების შედარებით ანალიზს.

საწყის ეტაპზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრებიც იყვნენ: შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების სპეციალისტი, იურისტი, ეკონომისტი და სხვა. ჯგუფის მიერ მოძიებულ იქნა საქართველოში შრომის დაცვის სფეროში მოქმედი კანონები და კანონქვემდებარე აქტები. გაანალიზდა ლატვიის, ესტონეთის და პოლონეთის შესაბამისი კანონმდებლობა. ამის გარდა სამუშაო ჯგუფმა მიიღო ინფორმაცია სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორიდან, უშუალოდ საწარმოებიდან. შესწავლილ იქნა საკითხები, როგორცაა სამუშაო ადგილებზე ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების დაცვის მდგომარეობა, საწარმოო ტრავმების და პროფესიული დაავადებების სტატისტიკა, საწარმოო შემთხვევების გარემოებები და მიზეზები, გატარებული პრევენციული ღონისძიებები, როგორც სახელმწიფო სახედამხედველო სამსახურების, ასევე დამსაქმებლების მხრიდან, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე დასაქმებულთა შრომის პირობები, დამსაქმებლების ხარჯით დასაქმებულის სავალდებულო პერიოდული სამედიცინო შემოწმება და სხვა.

შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს შრომის დაცვის სფეროში არსებული ურთიერთობები. ადამიანის დამსაქმებელთან ურთიერთობის უმთავრესი მიზანი ცხოვრებისათვის აუცილებელი სახსრების გამოიმუშავებაა. იგი შედის მასთან /ვისთან?/ შრომით ურთიერთობაში და ბუნებრივია მისთვის უმთავრესია კითხვები: როგორ ვიმუშავებ, რა პირობებში, რამდენად უსაფრთხო იქნება ჩემი საქმიანობა და როგორი იქნება შრომის ანაზღაურება? ამ ჩამონათვალში თითოეულ მუშაკს თავისი პრიორიტეტები აქვს, მაგრამ ერთ-ერთი, რაც ყველას აუცილებლად დააინტერესებს - შრომის პირობებია.

რასაკვირველია, შრომის დაცვის სუბიექტებს შორის ურთიერთდამოკიდებულება იმდენად მრავალფეროვანია, რომ კანონში ყველა ნიუანსის გათვალისწინება შეუძლებელია. ამასთან, კანონების მომზადება და მათი მიღება საკმაოდ დიდ დროს საჭიროებს. სახელმწიფოს მოვალეობა ურთიერთდამოკიდებულების წესების დადგენა და შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების გამოცემაა, რომლებიც დაარეგულირებს შრომის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს და კონტროლს დააწესებს მათ შესრულებაზე. შრომის დაცვის სუბიექტებს სახელმწიფო აკისრებს გარკვეულ ვალდებულებებს და ანიჭებს სათანადო უფლებებს არსებული კანონებისა და დადგენილებების შესაბამისად. ასე რომ, დინამიურად ცვალებადი ეკონომიკის პირობებში ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ შრომის დაცვის სუბიექტების ძირითად უფლება-მოვალეობებზე და დავამყაროთ იმედი მათ ჯანსაღ აზრზე, უნარზე გამონახონ წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზები, რაც მხოლოდ სოციალური პარტნიორობის წახალისების გზით შეიძლება განხორციელდეს. ამას კი შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა სჭირდება, სადაც უმთავრესი ადგილი პროფესიულ კავშირებს და დამსაქმებელს შორის კოლექტიური მოლაპარაკებების ეფექტურად და კეთილსინდისიერად წარმართვის გარანტიებს უნდა ეთმობოდეს.

როგორ არის ორგანიზებული საქართველოში სოციალური პარტნიორობა შრომის დაცვის სფეროში?

იმდენად, რამდენადაც შრომის დაცვის სფეროში ერთმანეთს უპირისპირდება დასაქმებულთა და დამსაქმებელთა ინტერესები, სავსებით გასაგებია, მათი მისწრაფება თავიანთ სასარგებლოდ შეცვალონ ინტერესთა ბალანსი მეორე მხარის ინტერესების ხარჯზე. ნათელია ასევე სახელმწიფოს მარეგულირებელი როლიც, რომელიც უნდა ცდილობდეს დაადგინოს ურთიერთშეთანხმებული გადაწყვეტილებების მიღების ყველასათვის ხელსაყრელი ერთიანი წესები და მექანიზმი. წარმოებაში შრომის დაცვის ორ სუბიექტს დასაქმებულსა და დამსაქმებელს ამ მიმართებით თავიანთი ინტერესები აქვთ და ბუნებრივია მათი მისწრაფება - დაიცვან ის მინიმალური დანაკარგებით. მრავალი წლის განმავლობაში საქართველოში ასეთი მიდგომა კონცეფციის დონეზეც კი იყო უარყოფილი.

დასაქმებული დაინტერესებულია, რომ დამსაქმებლისაგან უზრუნველყოფილი იყოს როგორც მინიმუმ, ჯანსაღი და უსაფრთხო შრომის პირობებით, მაღალი ანაზღაურების პირობებში.

დამსაქმებელი თავის მხრივ წინა პლანზე აყენებს შრომის ეკონომიკურ ასპექტებს და ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ხარჯები, მათ შორის შრომის დაცვაზეც.

სახელმწიფო მოწოდებული უნდა იყოს დაადგინოს შრომის დაცვაში მონაწილე თითოეული სუბიექტის უფლება-მოვალეობების სისტემა და შექმნას შრომის დაცვის დადგენილი ნორმების შესრულების მექანიზმები, რისთვისაც გამოიცემა კანონები და ყალიბდება მართვის, ხედამხედველობისა და კონტროლის ორგანოები შრომის უფლებებისა და შრომის დაცვის კანონმდებლობის შესასრულებლად. აღნიშნული ბაზისური საკითხები საქართველოში ფაქტობრივად უგულვებელყოფილი იყო.

შრომის დაცვაში სოციალური პარტნიორობა – ეს უნდა იყოს საწარმოებში ამ მიმართებით არსებული საერთო პრობლემების გადაწყვეტის ურთიერთმისაღები გზების ძიების სისტემა, სისტემა ურთიერთმოლაპარაკებისა შრომის დაცვის სუბიექტებს შორის.

როგორ უნდა ხდებოდეს ამ ურთიერთშეთანხმებების გამყარება

– კოლექტიური ხელშეკრულებების გაფორმებით, რომელთა შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენს შეთანხმება შრომის დაცვასთან დაკავშირებით.

– ერთობლივი სტრუქტურების შექმნით, რომლებიც მოწოდებული იქნება გადაწყვიტოს შრომის დაცვის პრობლემები საწარმოში/ორგანიზაციაში.

– ორგანიზაციებში შრომის დაცვის მართვის ისეთი სისტემის ფორმირებით, რომელიც ხელს შეუწყობს, როგორც დამსაქმებელთა, ისე თითოეული მუშაკის დაინტერესებას შრომის დაცვის სფეროში ეფექტური საქმიანობით, მათ შორის ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების მეშვეობით.

კარგ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს შრომის დაცვის ერთობლივი კომიტეტები და კომისიები, რომელთა შემადგენლობაშიც პარიტეტულ საწყისებზე შევლენ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა წარმომადგენლები, (როგორც წესი, ესენი არიან პროფკავშირების წარმომადგენლები).

მუშაკთა მიერ არჩეული რწმუნებული (*საზოგადოებრივი ინსპექტორი*) შრომის დაცვის საკითხებში და დამსაქმებლის წარმომადგენელი შრომის დაცვის სპეციალისტი, მუშაობენ ერთად მუდმივ საფუძველზე და ერთობლივად ახორციელებენ საწარმოში შრომის დაცვის სამოქმედო გეგმას.

შრომის დაცვის კომიტეტი (*კომისია*) თავის რეგულარულ სხდომებზე ახდენს პოლიტიკისა და მოქმედების გეგმის ფორმირებას. წყვეტს შრომის დაცვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს. კომიტეტის ძირითადი ფუნქციაა რისკების გამოვლენა, მათი შეფასება და მართვა (შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება). კომიტეტის შემადგენლობაში შედიან მუშაკთა არჩეული წარმომადგენლები და დამსაქმებელთა მიერ დანიშნული სპეციალისტები (მაგ. აღმასრულებელი დირექტორი, წარმოების სპეციალისტი, ექიმი).

– დამსაქმებლის მონაწილეობა შრომის დაცვის მართვის სისტემაში (საწარმოს მასშტაბით) – ეს არის, პირველ რიგში, შრომის დაცვის სამსახური (ან შრომის დაცვის სპეციალისტი).

– მუშაკთა მონაწილეობა შრომის დაცვის მართვის სისტემაში – ეს არის შრომის დაცვის ერთობლივი კომიტეტების (კომისიების) შექმნა, რწმუნებულების არჩევა.

– სახელმწიფოს მონაწილეობა შრომის დაცვის მართვის სისტემაში – ეს არის შრომის დაცვის შესახებ კანონმდებლობის მიღება და თითოეული სუბიექტის მიერ მისი შესრულების კონტროლი ყველა დონეზე.

**შრომის დაცვის მხრივ საქართველოში არსებული მდგომარეობა, სტატისტიკა, საწარმოო ტრავმები და პროფესიული დაავადებები.**

კვლევის პროცესში მიღებულმა მონაცემებმა ქვეყნის სამრეწველო ცენტრებში უბედური შემთხვევების, პროფესიულ და ონკოლოგიურ დაავადებათა ზრდის შემამფოთებელი ტენდენციები გამოააშკარავა.<sup>1</sup>

**საწარმოო შემთხვევები 2007-2011**

დარგი	2007		2008		2009		2010		2011	
	გარდ.	დაშავ.	გარდ.	დაშავ.	გარდ.	დაშავ.	გარდ.	დაშავ.	გარდ.	დაშავ.
მშენებლობა	15	3	9	12	19	16	32	77	8	7
ენერგეტიკა	5	2	11	4	7	5	10	12	1	3
სამთო მოპოვება	3	2	1	-	2	5	14	11	7	7
მეტალურგია	-	-	4	1	-	1	1	15	1	22
რკინიგზა	1	-	3	-	2	7	4	3	1	3
ნავთობი და გაზი	3	3	1	4	1	3	1	3	1	1
სოფლის მეურნეობა	1	4	3	3	2	3	2	3	-	-
კავშირგაბმულობა	-	-	-	-	2	-	1	4	-	-
მედიცინა	1	-	-	-	1	1	1	-	-	1
ტრანსპორტი	1	2	1	-	1	-	5	8	-	2
მრეწველობა	3	7	1	4	2	12	6	21	-	6
მომსახურების სფერო	-	2	4	6	2	3	4	11	2	1
სულ:	33	25	38	34	41	56	81	168	21	53

<sup>1</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 170-ე, 240-ე და 240(ა)-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებზე, რასაც მოჰყვა მუშაკების ჯანმრთელობის დაზიანება ან გარდაცვალება.

## პროფესიული დაავადებები

2005 წელს დაავადდა 28 მუშაკი, მათ შორის 4 ქალი, რომელთაგან 3 მუშაობდა “ჭიათურმანგანუმში”, ერთი – “სს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში”

2006 წელი – აღრიცხულია 25 პროფდაავადება, საიდანაც 18 აღირიცხა შპს “ჯორჯიან მანგანუმში”.

2007 წელი – აღრიცხულია პროფდაავადების 2 შემთხვევა. ორივე “შპს ჯორჯიან მანგანუმში”.

2008 წლიდან დღემდე აღრიცხული აღარ არის პროფდაავადებების არცერთი შემთხვევა, რადგან 2008 წლიდან პროფდაავადებებზე სახელმწიფო პენსიები უკვე აღარ გაიცემა.<sup>2</sup>

## ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში გაზგამწმენდი ფილტრები სისტემატურად არ მუშაობს. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა ქარხნის ხელმძღვანელობის მიერ შემოტანილია მაროკოს მადანი, რომელსაც არ გააჩნია სერტიფიკატი, არის ტყვიის შემცველი და მომწამვლავი. ქარხანაში მომუშავე პერსონალისგან შევიტყვეთ, რომ სადამოლობით გაზგამწმენდი ითიშება და მავნე ნივთიერებები ჰაერში იფრქვევა.

აღსანიშნავია, რომ საწარმო გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე მუშაობს, პერმანენტულად ხდება ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა, უგულებელყოფილია სტანდარტები. თუმცა საწარმო დღემდე განაგრძობს ფუნქციონირებას ზემოთ აღნიშნული დარღვევებით.

როგორც ჩანს, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას ხელისუფლების მაღალჩინოსნები ლობიერებდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერც ერთი საწარმო ვერ იმუშავებდა ამ ნებართვის გარეშე. ქალაქის გარემო წლების განმავლობაში იწამლება, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებიც კი ცხადყოფს, რომ რაიონში ონკოლოგიური დაავადებების რიცხვი იზრდება:

2007	2008	2009	2011
982	1023	1067	1133

ეკოლოგიური სამართლის ცენტრის ინფორმაციით, აღნიშნულის გარდა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში არის სხვა პრობლემებიც: მუშა-მოსამსახურეებს ურთულეს პირობებში უწევთ მუშაობა. 2012 წლის აპრილში, როცა საწარმოში მავნე ნივთიერებების მორიგი გაფრქვევა მოხდა, გარდაიცვალა მემანქანე (გოჩა სამხარაძე). ამავე წყაროზე დაყრდნობით, შემოაქვთ არასერტიფიცირებული მარგანეცის მადანი, რომლის გამოყენებაც სხვა ქვეყნებში

<sup>2</sup> საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების კვლევა: საქართველო-შრომის დაცვა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილებზე, საქართველოს პროფკავშირების როლი შრომის დაცვისა და უსაფრთხო შრომის საკითხებში გვ 14, თბილისი 2009 წ.

აკრძალულია. თავს იჩენს კიდევ ერთი პრობლემა-გამწოვ ფილტრებზე დიდი ოდენობით ელექტროენერგია იხარჯება და ამის გამო ზოგჯერ ამ ფილტრებს არ ამუშავებენ. ამ ეტაპზე არავის შეუმოწმებია, რა ფილტრები დააყენა ადმინისტრაციამ, როგორ დააყენეს, მართლაც დააყენეს თუ არა. სახელმწიფოს ეს საწარმო თავის ნებაზე ჰყავს მიშვებული. ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს პარლამენტის მიერ ახლადმიღებული კანონი (კანონი “გარემოს დაცვის შესახებ” შეტანილია ცვლილება 20.03.12), რომლითაც ფორმდება ხელშეკრულება გარემოსა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში და თუ საწარმო ან პიროვნება გარემოს აზიანებს-ჰაერს აბინძურებს ან წყალს წამლავს, კომპენსაციის გადახდის შემთხვევაში, პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ ოპერირება დაიწყო საქართველოს კანონის “გარემოს დაცვითი ნებართვის შესახებ” ამოქმედებამდე, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ კანონის თანახმად, საწარმოს ნებართვა 2010 წლის 1 იანვრამდე სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის (პროგრამის) შესაბამისად უნდა მოეპოვებინა. თუმცა დღემდე საწარმოს ნებართვა არ გააჩნია, ხოლო გარემოს დაცვის სამინისტრო არ რეაგირებს კანონდარღვევაზე.<sup>3</sup>

### კასპის ცემენტის ქარხანა

უკანასკნელი კვლევების მიხედვით, კასპში დაბინძურებულია წყალი, ჰაერი და ნიადაგი, რაც შეეხება ქარხნის გამონაბოლქვს, მდგომარეობა გასულ წლებთან შედარებით გაუმჯობესებულია, თუმცა პრობლემა სრულად აღმოფხვრილი არ არის. კასპში კიდევ არსებობს პატარ-პატარა საწარმოები, რომლებსაც ფილტრები არ უყენიათ და ფუნქციონირებენ დასახლებულ ტერიტორიაზე, რის შედეგადაც მტვრის კონცენტრაცია აღნიშნულ ტერიტორიაზე საკმაოდ მაღალია. ასეთი საწარმოები დასახლებულ პუნქტებში არ უნდა შენდებოდეს. რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, კასპში იგეგმება კიდევ რამდენიმე ქარხნის ამოქმედება, რაც არსებულ რთულ მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებს.

კასპის ცემენტის ქარხანაში გამოიკითხა 329 მომუშავე, სქესის მიხედვით რესპოდენტები ასე გადანაწილდნენ: მამაკაცი-78%; ქალი-22%. ამ რესპოდენტთა შორის 44,9% დაავადებულია, მათ შორის 92%-მამაკაცი; 8%-ქალი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ წარმოებაში სტაჟის მატებასთან ერთად მატულობს ავადობის მაჩვენებელი.<sup>4</sup>

<sup>3</sup> ეკოლოგიური სამართლის ცენტრი, იხ. <http://www.liberali.ge>

<sup>4</sup> საქართველოს პროფესიული კავშირების კვლევა:

საქართველო-შრომის დაცვა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილებზე, შ.პ.ს. “საქცემენტი“-ის კასპის ცემენტის ქარხანაში ეპიდემიოლოგიური კვლევის შედეგები გვ 27, თბილისი 2009 წ.



## მომუშავეთა შრომის პირობების ჰიგიენური შეფასება მანგანუმის მადნის მოპოვება-გამდიდრებისას საქართველოში

საქართველოს ეროვნული მეურნეობის დარგებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია სამთო-მადნო მრეწველობას, მათ შორის მანგანუმის მადნის მოპოვება – გამდიდრებას. საქართველოში არსებული მანგანუმის მადნის საბადოები (ჭიათურა) გამოირჩევა მანგანუმის შემცველობის მაღალი ხარისხით და წიაღში არსებული დიდი მარაგით. დღეისათვის მანგანუმის მადანზე დიდი მოთხოვნაა ქვეყნის შიდა და გარე ბაზრებზე, რაც აისახება მანგანუმის ნაერთების გამოყენების ფართო სპექტრით. სამთო-გამამდიდრებელ საწარმოებში (ლითონური მადნების მოპოვებისას) სოციალურ-ჰიგიენური მონიტორინგის ობიექტური მაჩვენებლების დადგენისა და მომუშავეთა ჯანმრთელობისათვის აპრიორული რისკის განსაზღვრის მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მომუშავეთა შრომის ჰიგიენური პირობების კომპლექსურ შეფასებას.

მანგანუმის მადნის მოპოვება-გამდიდრებისას დასაქმებულთა რიცხოვრივი ზრდის ტენდენცია, მათი შრომის და ჯანმრთელობის დაცვაზე ზედამხედველობის შესუსტება (ზოგჯერ არარსებობა), მომუშავეთა შრომის ჰიგიენურად უსაფრთხო პირობებით უზრუნველყოფის და პროფესიული და პროფესიით განპირობებული დაავადებების პროფილაქტიკის ღონისძიებების საჭიროება განაპირობებს ჰიგიენური კვლევების ჩატარების აუცილებლობას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით კვლევის მიზანია “ჯორჯიან მანგანუმის” ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მადნარობსა და გამამდიდრებელ ფაბრიკებში მომუშავეთა შრომის პირობების კომპლექსური შეფასება (მომუშავეთა ჯანმრთელობისთვის აპრიორული პროფესიული რისკის განსაზღვრა).

სამუშაო გარემოს მავნე (რისკის) ფაქტორების (მტვერი, მავნე ქიმიური ნივთიერებები, საწარმოო მიკროკლიმატი, ხმაური, განათება) რეალური დონეების და მათი გადამეტების (გადახრის) ხარისხის დასადგენად, გამოყენებული იყო საქართველოში მოქმედი შესაბამისი ჰიგიენური ნორმები, სანიტარული წესები, მეთოდური მითითებები.

მანგანუმის მადნის მოპოვება-გამდიდრების ტექნოლოგიური პროცესი მოიცავს: ბურღვა-აფეთქებით სამუშაოებს, მადნის მონგრევას, დატვირთვას, სანგრევების გამაგრებას, მადნის ტრანსპორტირებასა და გადატვირთვას გამამდიდრებელ ფაბრიკაში, მადნის პირველად და მეორად მსხვრევასა და გამდიდრებას.

მადნარობსა და გამამდიდრებელ ფაბრიკებში ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ტექნოლოგიური ოპერაციების მიმდინარეობისას სამუშაო ზონის ჰაერში გამოიყოფა საწარმოო მტვერი (მანგანუმისა და სილიციუმის დიოქსიდის შემცველი) ხშირ შემთხვევაში ზოგად დასაშვებ კონდიციაზე მაღალი კონცენტრაციებით (6,9 – 50,0 მგ/მ<sup>3</sup>; 8,0 – 56,7 მგ/მ<sup>3</sup>; 4,5 – 82,4 მგ/მ<sup>3</sup>; ზღკ 6,0 მგ/მ<sup>3</sup> გამოკვლეული 61 სამუშაო ადგილიდან 38 სამუშაო ადგილი (სამუშაო ადგილების 62,2%) ხასიათდება მაღალი “მტვრიანობით” და შესაბამისად მიეკუთვნება შრომის ჰიგიენურ პირობებს მავნე მე-3 კლასს ხარისხით 2; 3; 4.

სამუშაო ზონის ჰაერის დამტვერიანების მონაცემების მიხედვით ჰიგიენურად არასახარბიელო მდგომარეობა აღინიშნება ლენტური კონვეირის მემანქანის, ფირფიტებიანი მკვებავის მემანქანის (ზ. პატარიძის სახ. მადნარო და გამამდიდრებელი ფაბრიკა), ბუნკერის ჩამჩხეხის, ყბებიანი და კონუსური სამსხვრეველას მემანქანების (შუქრუთის და ა.წერეთლის სახ. მადნარობის გამამდიდრებელი ფაბრიკები), ბადიების გამგორებლის და მკვებავის მემანქანის (მღვიმევის მადნარო და გამამდიდრებელი ფაბრიკა) სამუშაო ადგილებზე.

მდარობსა და გამამდიდრებელ ფაბრიკებში სამუშაო ზონის ჰაერი გამოკვლეულია მანგანუმის ნაერთები, საზეთ-მაცივებელი სითხეების აეროზოლი, 6 ვალენტიანი ქრომის ნაერთები, ნახშირბადის ოქსიდი შემცველობაზე. გამოკვლევები ჩატარდა 71 სამუშაო ადგილზე, აქედან 54 სამუშაო ადგილზე (შესწავლილი სამუშაო ადგილების 76%) აღინიშნა მანგანუმის ნაერთების ზღვრულ მდარობის კონცენტრაციები, რაც მიუთითებს შრომის პირობების საკმაოდ მაღალ ხარისხზე.

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ სამუშაო ზონის ჰაერის მანგანუმის ნაერთებით დაბინძურების თვალსაზრისით ჭიათურის სამთო გამამდიდრებელ კომბინატში წამყვანი ადგილი უკავია მანგანუმის ნაერთების აეროზოლს, მისი კონცენტრაცია სამუშაო ზონის ჰაერში 1,1 - 8,0-ჯერ აღემატება ზღვრულად დასაშვებს და განსაკუთრებით მაღალია ტექნოლოგიური ჯაჭვის იმ ეტაპზე, სადაც მომუშავეებს კონტაქტი აქვთ მშრალ მადანთან.

სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ცალკეულ მდარობსა და ფაბრიკებში მომუშავეთა სამუშაო ადგილებზე საწარმოო მიკროკლიმატის მდგომარეობის შესწავლა მოიცავდა სათავსოებში და მადნის მომპოვებელ უბნებში ჰაერის ტემპერატურის, ფარდობითი ტენიანობის ჰაერის მოძრაობის სიჩქარის და სითბური გამოსხივების პარამეტრებს.

მიკროკლიმატის მდგომარეობა პატარძის სახ., სტალინის სახ., მღვიმევის მდარობსა და მათ გამამდიდრებელ ფაბრიკებში შესწავლილია წლის ცივ პერიოდში, შუქრუთის და წერეთლის სახ. მდარობებში და მათ გამამდიდრებელ ფაბრიკებში კი - წლის თბილ პერიოდში.

ჰაერის ტემპერატურის მინიმალური მაჩვენებლების შედარებით დაბალი დონე დაფიქსირდა პატარძის სახ., სტალინის სახ., სოფ. მღვიმევის მდარობს როგორც მიწის ქვეშ, ასევე მიწის ზედაპირზე განლაგებულ ნაწილში და მათ გამამდიდრებელ ფაბრიკებში (წლის ცივი პერიოდი).

ჰაერის ტემპერატურის შედარებით მაღალი მაჩვენებლები წლის თბილ პერიოდში დაფიქსირდა შუქრუთის და წერეთლის სახ. მდარობების მიწისქვეშ განლაგებულ სათავსოებში.

ფარდობითი ტენიანობის მაღალი მაჩვენებლები აღინიშნა (წლის პერიოდის მიუხედავად) შესწავლილი მდარობების და მათი გამამდიდრებელი ფაბრიკების უმეტეს ნაწილში.

გამოკვლევებით დადგინდა, რომ აღნიშნულ მდარობსა და მათი გამამდიდრებელი ფაბრიკების შესწავლილ 137 სამუშაო ადგილიდან 123-ზე მიკროკლიმატი არახელსაყრელ (წლის თბილ პერიოდში-გამაცხელებელ, წლის ცივ პერიოდში გამაცივებელ) ხასიათს ატარებს (სამუშაო ადგილების 89,7%), და მიეკუთვნება შრომის ჰიგიენური პირობებით მანგანუმ-3 კლასს ხარისხით 1,2,3. მდარობსა და გამამდიდრებელ ფაბრიკებში ტექნოლოგიური ოპერაციები ხასიათდება ხმაურის მაღალი დონით. ხმაურის ძირითადი წყაროებია: ყებებიანი და კონუსური სამტვრეველები, პირველადი და მეორადი გაცხრილვის ვიბრაციული ცხრილები, ელვატორები, კლასიფიკატორები, მკვებავი მანქანები, ჰაერმბერები, პნევმატური ჩაქუჩები და სხვა. გამოკვლეული 191 სამუშაო ადგილიდან 174 ადგილზე (91%) აღინიშნება ხმაურის დონეთა გადატეხვა დასაშვებ სანიტარული ნორმაზე - 80 დბ.ა. ხმაურის მაღალი დონე აღინიშნება მდარობებში გვირაბ-გამყვანის სამუშაო ადგილზე, მადნის მონგრევისას პნევმატური ჩაქუჩით 96-97 დბ.ა, რაც 16-17 დბ.ა-ით აღემატება დასაშვებს. გამამდიდრებელ ფაბრიკებში ხმაურის საშუალო დონე მერყეობს 82-95 დბ.ა-ს ფარგლებში, რაც 2-15 დბ.ა-ით აღემატება დასაშვებ სანიტარულ ნორმას. ხმაურის მაქსიმალური დონე აღინიშნება ჰაერმბერის მემანქანეთა სამუშაო ადგილებზე, 98-102 დბ.ა, რაც 18-22 დბ.ა-ით აღემატება დასაშვებს.

ხმაური ატარებს ფართოხლოვან მუდმივ ხასიათს, აქვს რთული სპექტრული შემადგენლობა, აღწევს დიდ ინტენსივობას და მაქსიმალურ ბგერით ენერჯიას 250-8000 ჰც. ფარგლებში.

მაღარობესა და გამამდიდრებელ ფაბრიკებში სამუშაო ადგილების განათება არაერთგვაროვანია, მაგრამ ძირითადად აკმაყოფილებს არსებულ სანიტარულ ნორმებს.

გამოკვლეულ სამუშაო ადგილებზე სამუშაო დღის (სამუშაო ოპერაციების) ქრონომეტრირების მონაცემებით დადგინდა, რომ მუშები ძირითადად მუშაობენ საშუალო დატვირთვით, ხოლო ზოგჯერ სამუშაო ოპერაციები შრომატევადია და ზედმეტად დატვირთული. ამასთან მუშები სამუშაო დროის 51,2-79,2%-ის განმავლობაში მუშაობენ მტვრის, ქიმიური ნივთიერებების, ხმაურისა და არახელსაყრელი მიკროკლიმატის ზემოქმედების ქვეშ.

მაღარობესა და გამამდიდრებელ ფაბრიკებში მომუშავეთა შრომის ჰიგიენური პირობების კომპლექსური შეფასების შედეგად გამოვლინდა ჰიგიენურად არასახარბიელო სამუშაო ადგილები, პროფესიები მავნეობის კლასებით 3,2. 3,3. 3,4: გვირაბგამყვანი, მბურღავი, მეზიგე, მტვირთავი, სკრეპერის, ელმავლის მემანქანეები, ამფეთქებელი, სატვირთო-საბაგრო გზის მემანქანე, ბადიების გამგორებელი, ბუნკერის ჩამჩეხი, მკვებავის, სამტვრეველას, ლენტური კონვეირის, ვიბრაციული ცხრილის, ლოგოუშერის, საღეჭი მანქანის, შემსქელებლის, ჰაერმბერის მემანქანეები, ელ. შემღულბელი, ლაბორანტი.

სამუშაო ადგილებზე მტვრის, ქიმიური ნივთიერებების გამოყოფა ზღვ-ზე მაღალი კონცენტრაციებით, მიკროკლიმატის მაჩვენებლებისა და ხმაურის პარამეტრების დასაშვები ნორმებიდან გადახრა (გადამეტება) მეტნაკლები ხარისხით განპირობებულია ტექნოლოგიური პროცესის თავისებურებებით, მოძველებული, ტექნიკურად გაცვეთილი, არაჰერმეტიკული მანქანა-დანადგარების გამოყენებით, სამუშაო ადგილების არასწორი ორგანიზაციით, ვენტილაციის სისტემების არაეფექტური მუშაობით, ზოგიერთ უბანზე მისი არარსებობით და სხვა.

ჭიათურის მაღაროელთა შრომის ჰიგიენური პირობების კომპლექსური შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ მუშები განიცდიან სამუშაო გარემოს მავნე ქიმიური და ფიზიკური ფაქტორების კომბინირებულ ზემოქმედებას მაღალი ექსპოზიციური დოზებით, განსაკუთრებით ის მუშები, რომელთა შრომის პირობები მიეკუთვნება მავნე მე-3 კლასს ხარისხით: 2; 3; 4, რაც ქმნის (მაღალი ალბათობით) მომუშავეებში შრომის პროფესიული და პროფესიით განპირობებული დაავადებების განვითარების წინაპირობას.<sup>5</sup>

<sup>5</sup> საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების კვლევა:

საქართველო-შრომის დაცვა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილებზე, მომუშავეთა შრომის პირობების ჰიგიენური შეფასება მანგანუმის მადნის მოპოვება-გამდიდრებისას საქართველოში. გვ-24, თბილისი 2009 წ.

საქართველოში პროფესიული დაავადებების განაწილება<sup>6</sup>

1970-2006 წ.წ.

ვიბრაციული დაავადება	237
მანგანუმით ქრ. ინტოქსიკაცია	234
ქრ. ბრონქიტი	169
პნევმოკონიოზები	140
სმენის ნერვის ანთება	96
ბრონქული ასთმა	81
სხვადასხვა ინტოქსიკაციები	23
მანგანოკონიოზი	20

1970-2006 წ.წ.

სტაჟი	ასაკი				სულ
	20-30წ.	31-39 წ.	40-49 წ.	50წ. და მეტი	
1-5 წ.	7	27	40	22	96
6-10 წ.	15	62	177	74	328
11-20 წ.	13	47	145	162	367
21 წ. და მეტი			126	170	296
სულ	25	136	488	428	1077

შრომის ჰიგიენური კლასიფიკაციის თანახმად, შრომის ანალიზის საფუძველზე მრეწველობის სხვადასხვა წარმოებაში, სადაც მაღალია პროფესიული ავადობის მაჩვენებლები, შეესაბამება მავნეობის მეორე-მესამე ხარისხს და მავნეობის მეორე-მესამე კლასს.

დღეს შრომის მედიცინაში მომუშავე მეცნიერთა და პრაქტიკოს ექიმთა წინაშე დგას ურთულესი ამოცანა: ქვეყნის ეკონომიკის საბაზრო პრინციპებზე გადასვლა და საკუთრების ფორმის შეცვლა მოითხოვს დასაქმებული ადამიანის

<sup>6</sup> საქართველოს პროფესიული კავშირების კვლევა: საქართველო-შრომის დაცვა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილებზე, საქართველოში პროფესიული დაავადებების განაწილება. გვ-21, თბილისი 2009 წ.

სოციალური დაცვის ახალი მექანიზმების შექმნას, ახალი მეთოდური მიდგომების შემუშავების აუცილებლობას, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს საწარმოო გარემოს მავნე და საშიში ფაქტორების, სამუშაო პროცესის სიმძიმისა და დაძაბულობის გათვალისწინებით, რათა დაცული იყოს ადამიანის ჯანმრთელობა სამუშაო გარემოში არსებული რისკისაგან რომელშიც მას უხდება მუშაობა.

## მოქმედებები

- მოქმედი სამრეწველო საწარმოების მოდერნიზაცია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, რაც შეამცირებს გარემოს (მათ შორის საწარმოო გარემოს) დაბინძურების ხარისხს, ტრავმატიზმს, პროფესიული და პროფესიით განპირობებული დაავადებების განვითარების რისკს;
- ქვეყნის მასშტაბით საწარმოო გარემოს მდგომარეობის, მომუშავეთა ჯანმრთელობის, პროფესიული დაავადებებისა და დროებითი შრომისუუნარო დღეების მიხედვით ავადობის მაჩვენებლების მონაცემთა ბაზის მონიტორინგის სისტემის შექმნა;
- მომუშავეთა სავალდებულო წინასწარი და პერიოდული სამედიცინო გასინჯვების სისტემის აღდგენა და განახლება;
- წარმოებაში დასანერგი ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების მომუშავეთა ორგანიზმზე და გარემოზე მათი შესაძლო მოქმედების ჰიგიენური შეფასება;
- შრომის მედიცინის დარგში ახალი საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტების შექმნა და არსებულის სრულყოფა;
- დასაქმებულთა შრომისა და ჯანმრთელობის დასაცავად აუცილებელია ქვეყანა მიუერთდეს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებს შრომის დაცვის საკითხებში: 176-ე, 81-ე, 155-ე, 128-ე, 102-ე, 121-ე.

კვლევის პროცესში მოპოვებულმა მასალებმა და სამუშაო ადგილებზე პრაქტიკულად არსებულმა მდგომარეობამ ცხადყო, რომ საჭიროა სახელმწიფომ სერიოზული კორექტივები შეიტანოს ბოლო რამდენიმე წელიწადში შრომის უსაფრთხოების სფეროში გატარებულ ლიბერალურ პოლიტიკაში, აუცილებლად უნდა შეიქმნას სამუშაო გარემოზე უწყვეტი მონიტორინგისა და შრომის პირობების კვალიფიციური ანალიზის, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების აღრიცხვისა და გამოკვლევის მოქნილი და ეფექტური სისტემა. მნიშვნელოვან რეფორმასა და სრულყოფას მოითხოვს ამ სფეროში არსებული საკანონმდებლო ბაზა. გადასახედია მიდგომები სოციალური პარტნიორობის, კოლექტიური ხელშეკრულებების მნიშვნელობის და პოპულარიზაციის აუცილებლობის თვალსაზრისით, რათა შეივსოს ის საკანონმდებლო უფლებრივ-ვალდებულებითი ვაკუუმი, რომელიც ჩატარებული კვლევის პროცესში იქნა გამოვლენილი და სერიოზულად აფერხებს საქართველოში კონკურენტუნარიანი შრომის ბაზრის ჩამოყალიბებას.

შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების იგნორირების შედეგია ბოლო წლებში გახშირებული საწარმოო შემთხვევები. დასაქმებულთა უმეტესობა სამშენებლო და სამთო-მოპოვებით სამუშაოებს ემსხვერპლა.

- 2010-2011 წლების განმავლობაში მხოლოდ ტყიბულის მინდელის სახელობის შახტაში 13 დასაქმებულია გარდაცვლილი და 12 დაშავებული. შემთხვევის გამომკვლევით კომისიების დასკვნების თანახმად, მხოლოდ ერთ შემთხვევაზე დაეკისრა პასუხისმგებლობა დამსაქმებელს, დანარჩენ შემთხვევებში კვლევის პროცესი დღემდე ან არ დასრულებულა ან თავად გარდაცვლილები და დაშავებულები არიან დადანაშაულებულები ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების დარღვევებში.
- შ.პ.ს. “ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდში” 2008 წლის 24 დეკემბერს მოხდა უბედური შემთხვევა სასიკვდილო შედეგით, რომელიც შეემთხვა წყალარინების ექსპლუატაციის სამსახურის პირველი საამქროს დამხმარე მუშას ამირან საღირაშვილს. კომპანიამ აანაზღაურა დასაფლავების ყველა ხარჯი და ოჯახს კომპენსაციის სახით გადასცა 15 000 ლარი, ასევე ამირან საღირაშვილის სამუშაო ადგილზე დაასაქმა მისი შვილი ირაკლი საღირაშვილი, რომელიც დღემდე მუშაობს კომპანიაში.
- 2011 წელი მინდელის სახელობის შახტაში უბედური შემთხვევით დაიწყო. 22 იანვარს დაახლოებით დამის 1 საათზე მოხდა აფეთქება, რის შედეგადაც დაიღუპა 37 წლის მეშახტე (მერაბ კალანდაძე), ხოლო დანარჩენმა ოთხმა მეშახტემ: ცვლის უფროსმა, წმენდითი სანგრევის სამთო მუშამ, სავენტილაციო სისტემის უსაფრთხოების ცვლის უფროსმა და ოსტატ ამფეთქებელმა სხეულის მძიმე დამწვრობა მიიღეს. უბედურ შემთხვევას იკვლევდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია. კომისიის დასკვნით უბედური შემთხვევა მეთანის მაღალი კონცენტრაციისა და არასწორად წარმოებული საამფეთქებლო სამუშაოების შედეგად იყო გამოწვეული. მიუხედავად მრავალმხრივი მცდელობისა, კვლევის პროცესში ვერ მოხერხდა პროფკავშირის შრომის ტექნიკური ინსპექტორების ჩართვა. შ.პ.ს. “საქნახშირის” ადმინისტრაციამ გარდაცვლილის თითოეულ არასლუწლოვან შვილს (დარჩა 3 შვილი) ყოველთვიურად 150 ლარს გადაუხდის.
- 2011 წლის 9 სექტემბერს ქ.ტყიბულში, მინდელის სახელობის შახტაში მაღანის გეგმიური აფეთქება განხორციელდა. აფეთქების არეალში მუშაკთა მოხვედრის შეზღუდვის საკონტროლო პოსტზე გაგზავნილი მეშახტე (თემურ გაბრიაძე) აფეთქების დაყოვნების გამო აფეთქების ზონაში მობრუნდა და აფეთქების შედეგად დაიღუპა, დარჩა მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი.
- უბედური შემთხვევა მოხდა ასევე 2011 წლის 6 ნოემბერს ამავე შახტაში, რასაც ორი მეშახტის სიცოცხლე ემსხვერპლა (თამაზ გიორგაძე და ბონდო მიხეილიძე). უბედური შემთხვევა ჭერის უეცარმა ჩამონგრევამ გამოიწვია. ანალოგიური შემთხვევის შედეგად, ამავე შახტაში, ამავე თვის 25 რიცხვში საწარმოო ტრავმა მიიღო ორმა მეშახტემ (სერგი აშოთია, საშა შულღაძე). მათ შორის ერთ-ერთი დაიღუპა. უნდა აღინიშნოს, რომ ოთხი შემთხვევიდან გამომკვლევით კომისიების დასკვნების მიხედვით, მხოლოდ ერთ შემთხვევაზე გამოიკვეთა დამსაქმებელის ბრალეულობა. 9 სექტემბრის, 6 ნოემბრის და 25 ნოემბრის უბედური შემთხვევების კვლევის პროცესში ჩართულნი იყვნენ ტყიბულის მეშახტეთა პროფკავშირის წარმომადგენლები. დაღუპულ მეშახტეთა დაკრძალვის ხარჯები შ.პ.ს. “საქნახშირის” ადმინისტრაციამ აანაზღაურა.
- უბედური შემთხვევით დაიწყო 2011 წელი ასევე ჭიათურის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის მაღაროებში. 7 იანვარს მაღაროს ცვლის უფროსს (გოჩა ასანიძე) ელმავალი დაეჯახა და სასიკვდილო ტრავმა მიაყენა.

მაღაროელებისგან მოწოდებული ინფორმაციით, გვირაბში იყო სიბნელე, ელმაგალს არ ჰქონდა განათების ფარები და ცვლის უფროსს დამჯდარი ჰქონდა ფარნის ელემენტები. ამას გარდა, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ იგი იმყოფებოდა 1,5 კილომეტრზე მეტ მანძილზე გვირაბის სიღრმეში გამოსასვლელიდან და უკან ბრუნდებოდა ფეხით, რაც უსაფრთხოების წესების დარღვევაა, რადგან ადმინისტრაცია “წესების” თანახმად ვალდებულია 1,5 კმ-ზე მეტი მანძილიდან მეშახტეების გამოყვანა ან შეყვანა უზრუნველყოს სატრანსპორტო საშუალებებით.

- 2011 წლის 19 იანვარს მღვიმეების მაღაროზე სარემონტო სამუშაოებს ერთ-ერთი დაქირავებული ფირმა აწარმოებდა. სწორედ ამ ფირმის თანამშრომელი მოიყოლა ქვეშ ვაგონმა, რომელიც მაღაროდან გამოსვლის დროს გადაბრუნდა და სასიკვდილო ტრავმა მიაყენა მომუშავეს. აღნიშნული შემთხვევის გამომკვლევ კომისიაში, პროფესიული კავშირების მცდელობა მათი შრომის ტექნიკური ინსპექტორების ჩართვასთან დაკავშირებით უშედეგო გამოდგა.
- 2011 წლის 9 მაისს, საწარმოო შემთხვევა მოხდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, რასაც ქარხნის მუშის (სულხან ქვათაძის) მძიმედ დასახინჩრება მოჰყვა. როგორც ირკვევა, ამწის მეშვეობით ტვირთის აწევის დროს არ იმუშავა ამომრთველმა მოწყობილობამ, რომელიც ახდენდა ამწის ბლოკირებას იმ შემთხვევაში თუ ამწევი ბლოკი აცდებოდა დასაშვებ ზღვარს, რამაც გამოიწვია ამწის ბაგირის გაწყვეტა, რის შედეგადაც რამდენიმე ტონის სიმძიმის ტვირთი დაეცა მუშას და მთლიანად მოაგლიჯა მარჯვენა ფეხი. შემთხვევასთან დაკავშირებით შ.პ.ს. “ჯორჯიან მანგანეზის” ადმინისტრაციაში დარგობრივი პროფესიული კავშირის მიერ შეტანილ იქნა წერილი გამომკვლევ კომისიაში შრომის ტექნიკური ინსპექტორის ჩასმის თაობაზე. აღნიშნული მოთხოვნა ადმინისტრაციამ დააკმაყოფილა. გამომკვლევ კომისიის დასკვნას, რომლის მიხედვითაც ბრალეულ მხარეებად მიჩნეული იყვნენ დაზარალებული და ამწე მანქანის მემანქანე, პროფკავშირის შრომის ინსპექტორმა ხელი არ მოაწერა, შეადგინა განსაკუთრებული მოსაზრება და მოითხოვა ამწემქანის მის სრული ინსპექტირება ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციისგან. ამ უკანასკნელის მიერ ინსპექტირება განხორციელდა, მაგრამ შემოწმების შედეგების გარკვევა დარგობრივი პროფესიული კავშირის მიერ ვერ მოხერხდა. (დარგობრივმა პროფესიულმა კავშირმა არაერთგზის მიმართა წერილობით ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს კვლევის მასალების მიღების მიზნით, მაგრამ მათ კვლევის მასალები არ მოგვაწოდეს).
- შემაშფოთებელია მდგომარეობა სამშენებლო სექტორში ტრავმატიზმის თვალსაზრისით. იგნორირებულია ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების დაცვა სამშენებლო ობიექტებზე და შესაბამისად, მძიმე შედეგებიც სახეხია. მიმდინარე წელს ერთი თვის განმავლობაში სამი უბედური შემთხვევა მოხდა სასიკვდილო შედეგით:
- 2012 წლის 6 ივნისს ამორტიზებული შენობის დემონტაჟის დროს, კედელმა ქვეშ ორი მუშა მოიყოლა, რის შედეგადაც ერთ-ერთი გარდაიცვალა, ხოლო მეორე მძიმედ დაშავდა. უბედური შემთხვევა გამოიწვია უსაფრთხოების ნორმების იგნორირებით წარმოებულმა სადემონტაჟო სამუშაომ.
- 2012 წლის 7 ივნისს, ქ.ქუთაისში, პარლამენტის შენობის კედლის ჩამონგრევის შედეგად გარდაიცვალა მუშა (რემზი სურმანიძე)
- 2012 წლის 8 ივნისს, ქ.ბათუმში, ზღვისპირა კომპლექს მაგნოლიაში კედლის დემონტაჟს გიორგი ძველაიას სიცოცხლე ემსხვერპლა. ამ შემთხვევაშიც, როგორც წინა შემთხვევებში, არასწორად წარმოებული სადემონტაჟო სამუშაო გახდა უბედური შემთხვევის მიზეზი.

- 2012 წლის ივლისის თვეში თელავში სტიქიისგან დაზიანებული სახლების აღდგენითი სამუშაოების დროს 10 დღის განმავლობაში 9 მუშა დაშავდა. მუშებმა სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებები სახლის სახურავიდან გადმოვარდნის შედეგად მიიღეს.
- 2012 წლის 16 აგვისტოს უბედური შემთხვევა მოხდა ქ.თბილისში. ჭავჭავაძის ქუჩაზე მშენებარე ობიექტიდან (საცხოვრებელი სახლი) გადმოვარდა 28 წლის მამაკაცი (მუშა) და დაიღუპა.
- სამშენებლო ობიექტებზე უბედური შემთხვევებით გამოირჩეოდა გასული წელიწადიც:
- 2011 წლის 26 მაისს ქ. ბათუმში, ლერმონტოვის ქუჩა №60 მშენებარე საცხოვრებელი სახლის მე-7 სართულიდან ე.წ. „პიონერის“ ტიპის ამწედან ჩამოვარდა სამი მშენებელი (პაატა ბოჭორიშვილი, რამაზ ბერიძე და თამაზ მაკარაძე), რომელთაგან ორი (პ.ბოჭორიშვილი, რ.ბერიძე) მიღებული მძიმე ტრავმების შედეგად ადგილზე დაიღუპა, ხოლო მესამე (თ.მაკარაძე) რამდენიმე დღეში რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში გარდაიცვალა. თითოეულ გარდაცვლილზე წარმოებამ გაიღო დაკრძალვის ხარჯები 3 ათასი ლარის ოდენობით. ამავე წლის 5 ივნისს ქ. ბათუმში, გორგილაძის ქუჩა №114-ში მშენებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მე-10 სართულის აივნიდან გადმოვარდა და მიღებული მძიმე ტრავმების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა მუშა (რემზი სურმანიძე). „პროგრესი-4“-ის ხელმძღვანელობამ გაიღო დაკრძალვის ხარჯები 5 ათასი ლარის ოდენობით.
- 2011 წლის 3 ივლისს ქ. ბათუმში სასტუმრო რედისონის სარემონტო სამუშაოებზე, რომელსაც სამშენებლო ფირმა “დევერვეპული” აწარმოებდა დაიღუპა მშენებელი (გ.ჭურკვეიძე).
- 2011 წლის 5 აგვისტოს სადგურ რუსთავი-სატვირთოში სამატარებლო შემადგენლობის ბიძგით გადაადგილების დროს მოძრავი შემადგენლობის ქვეშ მოპყვა აღმოსავლეთ სალიანდაგო სამმართველოს თბილისი-საკვანძოს რეგიონის ლიანდაგის მონტიორი (გოჩა ტაბატაძე), რომელსაც ფეხზე გადაუარა ვაგონების შუაში ჩართულმა სატვირთო ვაგონის გორგოწყვილმა, რამაც მძიმედ დაუზიანა კიდური. უბედური შემთხვევა მოხდა ბრიგადის მიერ სარემონტო სამუშაოს დასრულებიდან 1 საათის შემდეგ, გაურკვეველია დროის იმ პერიოდში მისი იქ ყოფნის მიზეზი. დაზარალებული გადაყვანილ იქნა სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც მას ჩაუტარდა ოპერაცია, რაც ითვალისწინებდა დაზიანებული კიდურის ამპუტაციას. ოპერაციის მთლიანი ხარჯი აანაზღაურა სადაზღვევო კომპანიამ.
- 2011 წლის 8 ნოემბერს ჭოლადიდი-ქვალონის გადასარბენის მე-19 კილომეტრზე, რკინიგზის ხიდზე გასვლისას ლიანდაგის მონტიორს (მერაბ მიქაძე) დაეჯახა სამგზავრო მატარებელი, რის შედეგადაც მერაბ მიქაძე ადგილზე გარდაიცვალა. როგორც ირკვევა, ლიანდაგის მონტიორი მარტო იყო გასული იმ სამუშაოს შესასრულებლად, რომელიც ორ კაცზე მეტი მომუშავეს ჩართულობას ითვალისწინებდა. სწორედ ეს გახდა უბედური შემთხვევის მიზეზი. გამომკვლევმა კომისიამ კი გარდაცვლილი მიიჩნია “უსაფრთხოების წესების” დამრღვევად, დაზარალებულის ოჯახს ფულადი კომპენსაცია არ მიუღია. უნდა აღინიშნოს, რომ “საქართველოს რკინიგზის” საწარმოებში ადგილი აქვს სამუშაოსთვის საჭირო პერსონალის შემცირებებს და შესაბამისად, ხშირია ფაქტები, როდესაც ერთი მომუშავე ასრულებს ბრიგადის მიერ შესასრულებელ სამუშაოს, რაც უბედური შემთხვევის მოხდენის რისკს საგრძნობლად ზრდის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საწარმოო ტრავმებს სწორედ კვალიფიციური პერსონალი ღებულობს.



- 2009 წლის 28 ივლისს მოხდა ჯგუფური უბედური შემთხვევა, რომლის დროს დაიღუპა 1 მუშაკი (ზვიად კაჭიური, დაბადებული 1973 წ.); დაშავდა 1 (ალექსი თასოშვილი-დაბ.1979 წ.). გამოკვლევის აქტის მე-3 გრაფაში აღნიშნულია, რომ დაზარალებულებს "დაეჯახა არასწორი მიმართულებით მოძრავი ე.ჩ.კ.-ს საავარიო დრეზინა". დაზარალებულ თასოშვილის განმარტებით მათ არ გაუგიათ გამაფრთხილებელი საყვირის ხმა, არ არის გამოკითხული დრეზინაზე მყოფი არცერთი პირი, რომელთაც შეეძლოთ დაედანტურებინათ მემანქანის ჩვენება, სადაც ის ამბობს, რომ მოსახვევამდე და მოსახვევის შემდეგ, როცა დაინახა ლიანდაგზე მოსიარულენი, მისცა სიგნალი. არც სხვა სამუშაოზე გასულ პირთა ახსნა-განმარტებებში არ ფიგურირებს მემანქანის მიერ სიგნალის მიცემის ფაქტი. ახსნა-განმარტებათა უმეტესობა აბსოლუტურად იდენტურია (დაცულია სიტყვათა თანმიმდევრობაც კი). აქტის მე-4 გრაფაში "უბედური შემთხვევის მიზეზი"- შემთხვევის გამომწვევი ტექნიკური და ორგანიზაციული მიზეზების ნაცვლად ჩაწერილია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, უფრო მეტიც, სპეც.გამოკვლევის აქტის მე-6 გრაფა- "კომისიის დასკვნა იმ პირების შესახებ, რომლებმაც დაარღვიეს შრომის კანონმდებლობა და შრომის დაცვის წესები"-საერთოდ ცარიელია. ამავე აქტის მე-2 და მე-3 გრაფებში წერია: "მათ დაეჯახა არასწორი მიმართულებით მოძრავი ე.ჩ.კ.-ს საავარიო დრეზინა." თავად ეს ფაქტი მეტყველებს სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ორგანიზაციულ დარღვევაზე-დრეზინის არასწორი მიმართულებით მოძრაობა, საწარმოს სადისპეტჩერო სამსახურის მიერ დაშვებული უხეში შეცდომა რასაც ასეთი მძიმე შედეგი მოჰყვა.
- ანალოგიურადაა გამოკვლეული 2010 წლის 20 მარტის უბედური შემთხვევა, როცა დაიღუპნენ ლილო-ვაზიანის სარკინიგზო გადასარბენის მე-16 კილომეტრზე ლოჭინის ხიდის განათების დაბალი ძაბვის ხაზების დასათვალიერებლად გასული მე-5 ჯგუფის ელექტრომონტიორები გივი კილასონია და მიხეილ მაზიაშვილი. გამოკვლევის მასალებში არ არის მონაკვეთის ელექტრო ქსელის სქემა-ნახაზი უბედური შემთხვევის მოხდენის ადგილის მითითებით, აქტში არ არის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა დაზარალებულების სიკვდილის მიზეზებზე, აქტს არ ახლავს 10 კილოვოლტიანი ხაზის №1 გამთიშველის გამორთვაზე ენერგო- დისპეტჩერ ბეჟანიშვილის ბრძანების შეტყობინების წიგნში (ეუ-23-ში) გაფორმებული ჩანაწერის ასლი. დაუდგენელია რატომ არ დაახუსტა ბეჟანიშვილმა მაზიაშვილისაგან მაღალი ძაბვის გამორთვის მოთხოვნის აუცილებლობა, შესასრულებელი სამუშაოების არეალი, მით უმეტეს მაშინ, როცა განათების დაბალი ძაბვის ქსელი ცალკე გამომრთველზეა მიერთებული და მაღალი ძაბვის გამორთვის აუცილებლობა მხოლოდ სამუშაოს შესრულების ადგილიდან შეიძლებოდა განსაზღვრულიყო. როგორც ჩანს, მაზიაშვილმა იცოდა მაღალი ძაბვის გადამცემზე არსებული დაზიანების შესახებ და ამიტომაც მოითხოვა ძაბვის მოხსნა სამუშაოების დაწყების წინ. აქტის მე-4 გრაფაში "უბედური შემთხვევის მიზეზი"- ძაბვის მოულოდნელი არსებობის მიზეზებში არის გამოთქმული ორი ვარაუდი: უკუტრანსფორმაციით ძაბვის წარმოქმნა ან ქარის დროს გამთიშველზე მოძრავ და უძრავ კონტაქტებს შორის არაიზოლირებული უცხო სხეულის მოხვედრა. ვარაუდი არ არის გამყარებული მეტეო სამსახურის ცნობით შემთხვევამდე პერიოდში ასეთი სიძლიერის ქარის არსებობისა და დამოუკიდებელი ენერგეტიკული ექსპერტის დასკვნით უკუტრანსფორმაციით ძაბვის წარმოქმნის ტექნიკური შესძლებლობის შესახებ.
- დარღვევითაა გამოკვლეული უბედური შემთხვევა, რომელიც მოხდა 2009 წლის 18 თებერვალს ქ. ფოთში (ფოთის რკინიგზის სადგურზე) და რომელიც შეემთხვა ელექტროსამონტაჟო სამმართველოს ექსკავატორის მემანქანეს

(აქვსენტი ცხადაშვილი-დაბად. 1952წ.). შემთხვევა სასიკვდილო შედეგით გამოიწვია ექსკავატორის ტრანსპორტიორზე გადაბრუნებამ მისი დატვირთვის დროს. დაზარალებული ექსკავატორის კაბინაში იმყოფებოდა. სამუშაოთა მწარმოებლის განმარტებით მან მუშებს დაავალა მხოლოდ მიწაყრილის მომზადება ექსკავატორის ტრანსპორტიორზე ასასვლელად და არა ტექნიკის მასზე განთავსება, ანუ მისი თქმით, მემანქანემ თვითნებურად აიყვანა ექსკავატორი ტრანსპორტიორზე. გამოკვლევის მასალებში არ არის შეფასებული ის, რომ მემანქანის თვითნებობა არ აღკვეთა იქვე სამუშაო პროცესში მონაწილე პერსონალმა (რაც დასაქმების სფეროში არსებული ყველა ინსტრუქციის მოთხოვნაა). გაურკვეველი და ბუნდოვანია ამ შემთხვევის გარემოებანი, მით უფრო, რომ გამოკვლევის მასალებს თან არ ახლავს უბედური შემთხვევის ადგილის ნახაზი, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნა, მეექსკავატორის უსაფრთხო მუშაობის ინსტრუქციის ასლი, დატვირთვა-დაცლის სამუშაოების უსაფრთხოდ წარმოების ინსტრუქცია.

- 2010 წლის 10 სექტემბერს ქ. რუსთავში, სასიკვდილო ტრავმა მიიღო აღმოსავლეთის ელექტრომომარაგების სამმართველოს რუსთავის საკონტაქტო ქსელის მე-5 ჯგუფის ელექტრომონტიორმა (ალექსანდრე შერაზადაშვილი-დაბ. 1941წ.). როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა უბედური შემთხვევა მოხდა საკონტაქტო ქსელის რევიზიის დროს. სამუშაო პროცესში იზოლირებულ ბაქანზე მდგომ ელექტრომონტიორს დაუცურდა ფეხი, გადმოვარდა და დაეცა არაიზოლირებულ ბაქანზე, აღმოჩნდა ძაბვის ქვეშ და დაიდუპა. საქმის მასალებში არ არის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნა, ელექტრომონტიორის უსაფრთხო მუშაობის ინსტრუქციის ასლი.
- სასიკვდილო შედეგით დასრულდა 2010 წ-ის 17 ნოემბერს, ქ.ხესტაფონის დასავლეთის ელ.მომარაგების სამმართველოს წევის ქვესადგურში. უბედური შემთხვევა, რომელიც შეემთხვა აღნიშნული ქვესადგურის მე-4 ჯგუფის ელექტრომონტიორს გიული ბუღაშვილს. გამოკვლევის აქტში ჩაწერილია, რომ უბედური შემთხვევა გამოიწვია დაზარალებულის თვითნებურად შესვლამ ფიდერის უჯრედში, რომელიც მოყვა ძაბვის ქვეშ. გამოკვლევის მასალებში არ არის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნა, ელექტრომონტიორის უსაფრთხო მუშაობის ინსტრუქცია, ამონაწერის ასლი ინსტრუქტაჟის ჟურნალიდან, ელექტრომონტიორის მოწმობის ასლი, განწეს-დაშვების ასლი, უბედური შემთხვევის ადგილის ნახაზი, უბნის ელექტრული სქემა. უბედური შემთხვევების გამოკვლევის აქტებში არ არის ჩაწერილი სატელეფონო კავშირის რა საშუალებებს იყენებდნენ დასაქმებულები სამუშაოთა შესრულებამდე, მის პროცესში და უბედური შემთხვევის დროს, ასევე არ არის მითითებული სამსახურებთან სავალდებულო საუბრების წუთობრივი ქრონოლოგია, გაანალიზებული არ არის მოვლენათა ფაქტიური განვითარების შესაბამისობა მოქმედი ინსტრუქციების მოთხოვნებთან, არც ერთ აქტს არ ერთვის მასში მითითებული ინსტრუქციების ქსეროასლები.
- 2008 წლის 21 ივნისს ს.ს. “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის” ქ/ს “გარდაბანი 500”-ის ელექტრომექანიკოსი (აჩი ჯაჭვლიანი) სამღებრო სამუშაოების წარმოებისას მოხვდა ძაბვის ქვეშ, რის შედეგადაც მიიღო სასიკვდილო ტრავმა.
- 2010 წლის 26 მარტს ამავე ორგანიზაციის ქვემო ქართლის ელექტრომექანიკოსი (გიორგი დუმბაძე) ელ-გაზური ამომრთველის ამძრავის ჩართული მექანიზმის დათვალიერებისას უნებლიედ შეეხო მაბლოკირებელ მოწყობილებას, ამძრავი გაიშვა მოქმედებაში და მიიღო ზედა კიდურების მტკვნების ტრავმა.
- 2010 წლის 25 სექტემბერს სასიკვდილო ტრავმა მიიღო შიდა ქართლის ელ.მონტიორმა (მეველუდ კვინიკაძე), რომელიც ელექტრო გადამცემი ხაზის

“ლიახვი-220”-ის შემოვლა-დათვალიერების დროს ჩამოვარდა საყრდენიდან. სამივე დაზარალებული დაზღვეული იყო და ხარჯები აანაზღაურა სადაზღვევო კომპანიამ. აღნიშნული შემთხვევების გამომკვლევ კომისიაში ჩართულები იყვნენ პროფესიული კავშირების წარმომადგენლები.

- ს.ს. “ენერგო-პრო ჯორჯია-“ში 2009 წ-ს ადგილი ჰქონდა ერთ სასიკვდილო შემთხვევას, ხოლო 2010 წელს უბედურ შემთხვევებს ემსხვერპლა 3 ადამიანის სიცოცხლე. გარდა დაზღვევით გათვალისწინებული თანხისა, კომპანია 3000 ლარით დაეხმარა სამუშაო მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვლილების ოჯახის წევრებს.
- ს.ს. “სილქნეტში” 2010 წელს ადგილი ჰქონდა 3 უბედურ შემთხვევას. 28 ივნისს სამგორის საექსპლუატაციო უბნის 72-ე ატევის სახაზო-საკაბელო უბნის მეკაბელემ (იორდან მაისურაძე) მიიღო საწარმოო ტრავმა. იგი ამორტიზირებული შენობის სახურავზე მუშაობდა დაზიანებული სატელეფონო ხაზის აღსადგენად, რა დროსაც ჩატყდა სახურავის შიფერი და ჩავარდა 5-6 მ-ის სიმაღლიდან, რის შედეგადაც მიიღო ნეკნების დაზიანება. საავადმყოფო ფურცელზე იმყოფებოდა 15 დღე.
- 2010 წლის 8 ივლისს გურია-სამეგრელოს ფილიალის ქ.ხუგდის სატელეფონო განყოფილების მეკაბელე-მრჩილავი (ჯუმბერ გეთია) ჭყონდიდელის ქუჩაზე მუშაობდა დაზიანებული სატელეფონო ხაზის აღდგენაზე, რა დროსაც ბოძზე მიდგმული კიბე გაუცურდა და გადმოვარდა, შედეგად მიიღო ნეკნების დაზიანება. საავადმყოფო ფურცელზე იმყოფებოდა 30 დღე.
- 2010 წლის 26 ივნისს ნაძალადევის საექსპლუატაციო სახაზო-საკაბელო უბნის მეკაბელე-მრჩილავი (რევაზ რაზმაძე) წინამძღვრიშვილის ქ.№95–ში მუშაობდა ხის საკაბელო ბოძზე, რომელიც იყო ამორტიზირებული (დამპალი), ეს უკანასკნელი გადატყდა და დაეცა ტროტუარზე, რის შედეგადაც მასზე მყოფმა რევაზ რაზმაძემ მიიღო სასიკვდილო ტრავმა. ს.ს. “სილქნეტის” ადმინისტრაციის მიერ შექმნილ უბედური შემთხვევის გამომკვლევ კომისიაში პროფესიული კავშირების ტექნიკური ინსპექტორი არ იყო ჩართული, მხოლოდ მისი მოთხოვნის შემდეგ შედგა კომისია ხელმეორედ უკვე მისი მონაწილეობით. როგორც უბედური შემთხვევის კვლევის მასალებიდან ირკვევა მეკაბელე-მრჩილავს რევაზ რაზმაძეს არ შეეძლო ბოძის გასინჯვა ვარგისიანობაზე ვინაიდან დაზარალებულს არ ჰქონდა შესაბამისი იარაღი (შუპი-სადგისი), რითაც ისინჯება ხის ბოძის ვარგისიანობა. აღნიშნულ საქმეზე კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, სადაც ბრალეულ მხარედ მიჩნეულ იქნა დამსაქმებელი. მარჩენალის დაღუპვასთან დაკავშირებით ს.ს. “სილქნეტის” ადმინისტრაციამ ორ მცირეწლოვან ბავშვს დაუნიშნა დახმარება. კომპანიამ დაფარა დაზარალებულის დასაფლავების ხარჯები და დაზარალებულის ოჯახს გაუწია ერთჯერადი ფულადი დახმარება 25000 ლარის ოდენობით.<sup>7</sup>

<sup>7</sup> საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ ორგანიზაციებში (საწარმოებში) აღრიცხული და გამოკვლევული საწარმოო შემთხვევების მასალები

საქართველოს მთავრობის 2007 წლის №53 დადგენილება “შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ” ითვალისწინებს დამსაქმებლის ვალდებულებას დასაქმებულისათვის ზიანის ანაზღაურებას (დაზარალებული მხარისთვის ყოველთვიური სარჩოს გაცემა) მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ზიანი გამოწვეულია დამსაქმებლის ბრალეული მოქმედებით. უმრავლეს შემთხვევაში უბედური შემთხვევის გამომკვლევ კომისიები დამსაქმებლების ინტერესებს იცავენ და თავად გარდაცვლილებს და დაზარალებულებს სცნობენ შრომის დაცვის წესების დამრღვევებად. ასეთ ვითარებაში კი საწარმოს ადმინისტრაცია დაზარალებულ ოჯახს მხოლოდ დაკრძალვის, ისიც მისი კეთილი ნების შემთხვევაში და მკურნალობისთვის აუცილებელ ხარჯებს უნაზღაურებს, რასაც მას საქართველოს შრომის კოდექსი ავალდებულებს. პროფესიული კავშირების შრომის დაცვის სამსახურებს კი უბედური შემთხვევის გამომკვლევ კომისიების მიერ გამოტანილი უსამართლო გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრება უწევთ. სასამართლო პროცესები კი წლების მანძილზე გრძელდება, ისევე, როგორც ხელოვნურად გაჭიანურებული უბედური შემთხვევის გამოძიება. რისი წამახალისებელიც არის “წარმოებაში უბედური შემთხვევის გამოკვლევისა და აღრიცხვის დებულება”, რომლის თანახმადაც, როდესაც საქმე ეხება უბედური შემთხვევის სპეციალურ გამოკვლევას (სპეციალურ გამოკვლევას ექვემდებარება: ჯგუფური უბედური შემთხვევა, სხეულის დაზიანების სიმძიმის მიუხედავად; უბედური შემთხვევა აშკარა ინვალიდობის შედეგით; უბედური შემთხვევა სასიკვდილო შედეგით; განსაკუთრებით მძიმე უბედური შემთხვევა, რომლის დროსაც სასიკვდილო ტრავმა მიიღო ხუთზე მეტმა მუშაკმა) კომისიამ უბედური შემთხვევის გამოკვლევა უნდა დაასრულოს 15 დღის განმავლობაში. იქვე აღნიშნულია, რომ “აუცილებლობის შემთხვევაში გამოკვლევისთვის საჭირო დრო შეიძლება გაგრძელდეს”. დებულებაში არ არის დაფიქსირებული კვლევის პროცესის ბოლო ვადა ანუ ამ დებულების მიხედვით განუსაზღვრელი ვადით შეიძლება გაგრძელდეს საწარმოო შემთხვევის კვლევა, რასაც კარგად იყენებს თავის სასარგებლოდ დამსაქმებელი. შედეგიც სახეზე გვაქვს სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევის კვლევის პროცესი წლობით გრძელდება, რაც დაზარალებული ოჯახების მდგომარეობას კიდევ უფრო მეტად ამძიმებს.

დღეს მოქმედი კანონმდებლობის შედეგად გაუარესდა დასაქმებულთა სამართლებრივ-ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა. დამსაქმებელი ერთპიროვნული, შეუზღუდავი უფლებებით აღიჭურვა, მას შეუძლია საკუთარი შეხედულებებისა და გუნება-განწყობის მიხედვით სამუშაოზე მიიღოს და გაათავისუფლოს მუშაკი, შეუმციროს შრომის ანაზღაურება, გაუზარდოს სამუშაო დრო, დაითხოვოს და არ გასცეს კომპენსაციები. არც მეწარმეს და არც სახელმწიფოს არ აქვთ ვალდებულება შეღავათების, კომპენსაციების დაწესების, შრომის მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე დასაქმებულთათვის, უფრო მეტიც, არ აქვთ ზემოთ აღნიშნულ სამუშაოებზე დასაქმებულთა ნუსხა. ასევე არ აქვთ ვალდებულება და არც ნება პროფესიული დაავადებების გამოკვლევისა და აღრიცხვისათვის.

საქართველოს შრომის კოდექსის თანახმად დასაქმებულებს უფლება აქვთ უარი განაცხადონ იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც შრომის უსაფრთხოების პირობების დაუცველობის გამო აშკარა საფრთხეს უქმნის მის ან მესამე პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. თუმცა სამუშაოს დაკარგვის შიშით უმრავლეს შემთხვევებში ასრულებენ ისეთ სამუშაოს, რომელიც საფრთხეს უქმნის მათ ან მესამე პირის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

სამწუხაროა, რომ წლების განმავლობაში არ იგრძნობოდა ხელისუფლებისგან ამ სფეროში არსებული პრობლემებით დაინტერესება და მათი აღმოფხვრის სურვილი, რაზედაც ბოლო წლებში გატარებული რეფორმებიც

მეტყველებს. კერძოდ, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის სახელმწიფო ინსპექციის გაუქმების (2006 წელი) შემდეგ უცვლელი ფორმით ძალაში დარჩა „წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევების გამოკვლევისა და აღრიცხვის დებულება, რომლითაც შემთხვევების გამოკვლევის ვალდებულება ამ ინსპექციასვე ევალებოდა, როგორც გამოკვლევებისა და მონიტორინგის პროცესის წარმართველ სახელმწიფო ორგანოს. ინსპექციის გაუქმების შემდეგ გამოკვლევის დებულებაში ინსპექციის უფლებამონაცვლის შესახებ ცვლილების შეტანა არ მომხდარა. მთავრობის განკარგულებით გაუქმდა სახელმწიფო ტექნიკური ზედამხედველობის სამსახური, გაუქმდა არქიმენინსპექციაც, მოხდა ამ ორი უწყების გაერთიანება და 2011 წლის 1 იანვარს შეიქმნა ერთიანი სახელმწიფო სახედამხედველო, მაკონტროლებელი სამსახური-ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, რომელიც ახორციელებს მხოლოდ მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების კონტროლს და ზედამხედველობას, იმ დროს, როცა შრომის ტექნიკური ინსპექცია ზედამხედველობას უწევდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა მოქმედ საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას მიუხედავად მათი საკუთრებისა, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და შესაბამისად დებულებად მონაწილეობას უბედური შემთხვევების გამომკვლევ კომისიებში. როდესაც ხელისუფლება აცხადებს, რომ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო შრომის ტექნიკური ინსპექციის უფლება-მონაცვლეა, ხელისუფლების ამ განცხადების გასაბათილებლად ლილოს დასახლებაში მომხდარი შემთხვევის მაგალითიც საკმარისია, კერძოდ, 2012 წლის 3 ივნისს აღნიშნული დასახლების ტერიტორიაზე შ.პ.ს. „კრისტალის“ კუთვნილი ქლორის ავზიდან მოხდა გაჟონვა, რის შედეგადაც ინტოქსიკაცია მიიღეს სახანძრო-სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა და მოქალაქეებმა, რომლებიც შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ. ქლორის გაჟონვის შედეგად 73 ადამიანი მოიწამლა, მათ შორის ერთ-ერთი 18 წლის ახალგაზრდა გარდაიცვალა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაუუკავშირდით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს-ტექნიკურ და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს, სადაც განგვიმარტეს, რომ აღნიშნული საწარმო არ არის მათ კონტროლს დაქვემდებარებული ობიექტი, რადგან არ შედის საშიში ობიექტების უწყებრივ რეესტრში და რომ ქლორის წარმოება, ტრანსპორტირება და ექსპლუატაცია არ არის მათი ზედამხედველობის სფერო.

ჩვენ მრავალჯერ მცდელობის მიუხედავად, ვერ მივიღეთ ინფორმაცია ვერც ზემოთ აღნიშნული სამსახურისგან და ვერც სხვა სამთავრობო უწყებებისგან, თუ რომელ მაკონტროლებელ ორგანოს ევალებოდა აღნიშნული ობიექტის ზედამხედველობა. გამოდის, რომ ობიექტები რომლებიც არ შედიან საშიში ობიექტების უწყებრივ რეესტრში შეიძლება ითქვას, რომ კონტროლს მიღმა რჩებიან.

მთავრობა აცხადებს, რომ ეფექტურ ნაბიჯებს დგამს კრიმინალის და კანონდამრღვევთა წინააღმდეგ, თუმცა მხოლოდ კანონდარღვევებზე რეაგირება კი არა პრევენციული ღონისძიებების გატარებაა აუცილებელი.

ამის გარდა, 2010 წლის 8 აპრილს ძალაში შევიდა „კანონი ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა კერძო საინსპექციო ორგანოების ჩამოყალიბებას. კანონის თანახმად სწორედ ამ ორგანოებს უნდა განეხორციელებინათ სამუშაო ადგილების მონიტორინგი საშიშ ობიექტებზე და მათ მიერ შედგენილი ოქმების და მასალების საფუძველზე ტექნიკური და

სამშენებლო ინსპექცია ოქმში დაფიქსირებული შეუსაბამობების შემთხვევაში მისცემდა მსვლელობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებას კონკრეტული საწარმოს მიმართ. ზემოთ აღნიშნული კანონი გაუქმდა, რომელიც ჩაანაცვლა კოდექსმა "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ" (2012 წლის 8 მაისი), რომელიც ხუთ კანონს აერთიანებს, მათ შორის "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ". კოდექსი ასევე ითვალისწინებს საინსპექციო ორგანოების ფუნქციონირებას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დღეისთვის არცერთი კერძო საინსპექციო ორგანო არ ფუნქციონირებს, რადგან არც ეს ორგანოები არ შექმნილან. ამდენად საშიშია საწარმოების და ობიექტების ერთადერთი სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოდ რჩება - ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია, რომელიც მხოლოდ მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე ახორციელებს ზედამხედველობას. შესაბამისად ორგანიზაციებზე (საწარმოები), რომლებიც არ განეკუთვნებიან საშიშ ობიექტებს, არ ხორციელდება მონიტორინგი. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ პროფესიული კავშირების შრომის დაცვის ინსპექტორებს კანონით "პროფესიული კავშირების შესახებ" უფლება აქვთ ინსპექტირება აწარმოონ მხოლოდ იმ ორგანიზაციებში (საწარმოებში), სადაც დასაქმებულები არიან პროფესიული კავშირების წევრები და ამ ორგანიზაციებშიც კი ისინი დიდ სირთულეებს აწყდებიან დამსაქმებლების მხრიდან, რათა დაშვებულ იქნან სამუშაო ადგილებზე ინსპექტირების მიზნით. დღეს მოქმედი შრომის კოდექსიდან ამოღებულია მუხლი, რომლითაც პროფკავშირებს უფლება ჰქონდათ ყველა საწარმოში საზოგადოებრივი ზედამხედველობა დაეწესებინათ შრომის კოდექსისა და შრომის უსაფრთხოების მოქმედი წესების შესრულებაზე. ამდენად ვერ ხერხდება სრული ინფორმაციის მოპოვება სამუშაო ადგილებზე არსებული შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების მდგომარეობის შესახებ, რომ არაფერი ვთქვათ პრევენციული ღონისძიებების გატარებაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოო შემთხვევების გამოკვლევა და აღრიცხვა წარმოებს "წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის გამოკვლევისა და აღრიცხვის დებულების" მიხედვით. აღნიშნული დებულება, რომელიც დამტკიცებულ იქნა 1997 წელს და დღემდე ძალაშია, აბსოლიტურად შეუსაბამოა დღეს მოქმედ რეგულირებებთან და ინსტიტუციებთან. კერძოდ, მასში დღემდე ფიგურირებს სახელმწიფო მაკონტროლებელ სამსახურად შრომის ტექნიკური ინსპექცია, რომელიც როგორც მოგეხსენებათ 2006 წელს გაუქმდა. ამასთან ერთად საწარმოებში შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების საკითხებს ქართულ ნორმატიულ აქტებთან ერთად არეგულირებენ 1992 წლამდე მოქმედი რუსული/საბჭოთა ნორმატიული აქტები.<sup>8</sup>

<sup>8</sup> საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების კვლევა და ანალიზი

## პროფკავშირების მიერ განხორციელებული აქტივობები

საწარმოო უბედური შემთხვევების შედეგად დასაქმებულისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების არაეფექტური და უსამართლო სისტემა დასაქმებულს და/ან მის ოჯახს სამართლის საძებნელად სასამართლოსთვის მიმართვის გარდა სხვა გზას და მექანიზმს არ უტოვებს. შრომისუნარო და მარჩენალდაკარგულთა ოჯახები არსებული სიღარიბის პირობებში მოკლებული არიან ხანგრძლივი და ძვირადღირებული სასამართლოს პროცესების წარმოების რესურსებს. შეიძლება ითქვას, რომ მათი ძირითადი დამცველი და წარმომადგენელი პროფესიული კავშირებია, რომლებიც იურიდიულ და სხვა საჭირო მომსახურებას უანგაროდ უწევენ დასაქმებულებს. ქვემოთ მიმოვიხილავთ ბოლო წლებში საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების მონაწილეობით ჩატარებულ რამდენიმე სასამართლო პროცესს და რეაგირებას, რომელთა შედეგად დასაქმებულთა ინტერესები წარმატებით იქნა დაცული:

- ✓ სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების წარმომადგენლების სარჩელი და შ.პ.ს. “ჯორჯიან მანგანეს” დააკისრა დაზარალებულ ემზარ ჯიქიძის სასარგებლოდ საერთო ჯამში 106000 ლარის გადახდა. სამუშაოს შესრულების დროს, საწარმოო ტრავმის შედეგად ჯიქიძემ ფეხი დაკარგა.
- ✓ სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების წარმომადგენლების სარჩელი და შ.პ.ს. “ჯეოსთილს” (მეტალურგიული ქარხანა ქ. რუსთავში) დააკისრა დაზარალებულის თემურ სენიაშვილის სასარგებლოდ მატერიალური და მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურება 21000 ლარის ოდენობით.
- ✓ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების ჩარევის შემდგომ შ.პ.ს. “ჯორჯიან მანგანესის” დირექციამ იკისრა ფულადი კომპენსაციის გადახდა ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მადაროელის პაატა ასანიძის სასარგებლოდ, რომელმაც სამუშაოს შესრულებისას მომხდარი უბედური შემთხვევისას დაიზიანა პანკრიატის ჯირკვალი, რის გამოც ჩამოუყალიბდა დიაბეტი. დამსაქმებელმა ასევე უზრუნველყო მისი მსუბუქ სამუშაოზე დასაქმება.
- ✓ შ.პ.ს. “ჯორჯიან მანგანესსა” და ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ყოფილი ზეინკალის ნოდარ კუტალაძის ოჯახს შორის მიმდინარე სასამართლო პროცესი მორიგებით დასრულდა. ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა 2010 წლის 13 ივნისს დარკვეთის მადაროზე დაღუპული მუშაკის მეუღლის და საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის სარჩელი შ.პ.ს. “ჯორჯიან მანგანესის” წინააღმდეგ. მორიგების აქტით მხარეები შეთანხმდნენ, რომ შ.პ.ს. “ჯორჯიან მანგანესი” გარდაცვლილის არასლუწლოვან შვილებს ყოველთვიურად დაბეგვრის გარეშე 100-100 ლარს გადაუხდის, ხოლო გარდაცვლილი მეუღლე დასაქმდება შ.პ.ს. “ჯორჯიან მანგანესში”.
- ✓ პროფესიული კავშირებისა და შ.პ.ს. ”საქნახშირის” საწარმოს ადმინისტრაციის შეთანხმების შედეგად ამოქმედდა “ჯი-პი-აი ჰოლდინგის” ახალი პროგრამა, რომლის მიხედვითაც წელიწადში 5 სასიკვდილო შემთხვევა იქნება დაზღვეული. ამ პროგრამაში მოხდნენ 2011 წლის 6 ნოემბერს მინდელის სახელობის შახტაში გარდაცვლილთა ოჯახებიც. თითოეული ოჯახი სადაზღვევო კომპანიისგან დაახლოებით 35 000 ლარს მიიღებს.
- ✓ პროფესიული კავშირები და შ.პ.ს. ”საქნახშირის” ადმინისტრაცია ასევე შეთანხმდნენ შრომის უსაფრთხოების კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით,

რომელიც პარიტეტული წესით იქნება დაკომპლექტებული, როგორც ადმინისტრაციისგან, ასევე დასაქმებულებისგან.

- ✓ ასევე მიღწეულ იქნა შეთანხმება შ.პ.ს. “საქნახშირის” ადმინისტრაციას, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებას და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას შორის, შრომის დაცვის და უსაფრთხოების საკითხებში ყველა მემახტისთვის ტრეინინგების ჩატარების შესახებ. საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებისა და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის მიერ 2010 წელს ხელი მოეწერა შეთანხმებას “შრომის დაცვისა და უსაფრთხოების სფეროში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციის “ILO-OSH-2001”-ის მოთხოვნების სახელმძღვანელო დოკუმენტად ნებაყოფლობითი აღიარების შესახებ”.<sup>9</sup>

საწარმოებში შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების საკითხებს ქართულ ნორმატიულ აქტებთან ერთად არეგულირებს 1992 წლამდე მოქმედი ნორმატიული აქტები. მთავრობის მხრიდან ამ მხრივ დადებითი ძვრები შეინიშნება. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მუშაობს ახალი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგლამენტების შემუშავების საკითხებზე. ამჟამად მათ მიერ მუშავდება რამდენიმე დოკუმენტი. მათივე ინფორმაციით, დოკუმენტების შემუშავების შემდგომ ეტაპზე ჩატარდება საჯარო განხილვები, როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, სამეცნიერო წრეების, არასამთავრობო სექტორის, ასევე, პროფესიული კავშირების გაერთიანების დონეზე.

---

<sup>9</sup> საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების მიერ განხორციელებული აქტივობებისასამართლო პროცესები, ღონისძიებები



## საქართველოში შრომის დაცვის სფეროში მოქმედი კანონების და კანონქვემდებარე აქტების ჩამონათვალი

### კანონები:

- ❖ საქართველოს შრომის კოდექსი;
- ❖ კანონი “პროფესიული კავშირების შესახებ”;
- ❖ კოდექსი “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ” მე-4 თავი: “ტექნიკური საფრთხის კონტროლი”;
- ❖ სისხლის სამართლის კოდექსი;
- ❖ სამოქალაქო კოდექსი (ზიანის ანაზღაურება);
- ❖ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
- ❖ კანონი “გარემოს დაცვის შესახებ”;
- ❖ საქართველოს კანონი ”სახანძრო უსაფრთხოების შესახებ”;
- ❖ კანონი “სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ”
- ❖ კანონი “საჯარო სამსახურის შესახებ”.

### კანონქვემდებარე აქტები:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებები:

- “სამუშაო ზონის ჰაერში მავნე ნივთიერებების შემცველობის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების დამტკიცების შესახებ”;
- “მძიმე მრეწველობის ზოგიერთი საწარმოს ტიპის საწარმოს მოწყობის, ადჭურვისა და ექსპლუატაციის სანიტარული წესების დამტკიცების შესახებ”;
- ”საწარმოო სათავსების მიკროკლიმატისადმი წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ”;
- ”მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე”;
- ”ელექტროსტატიკური, სამრეწველო სიხშირის ელექტრული და სხვადასხვა სიხშირის ელექტრომაგნიტური ველების ზემოქმედების ზონაში მომუშავე მოსამსახურე პერსონალის შრომის პირობების სანიტარული წესებისა და ნორმების შესახებ”;
- ”სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების გამოსხივების წყაროებთან, სამრეწველო მასალებთან და ინსტრუმენტებთან მუშაობისადმი წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ”;
- ”ულტრაიისფერი დასხივების მეთოდით წყლის გაუსნებოვნების სანიტარული წესების დამტკიცების შესახებ”

## საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება:

- ✓ “საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ”

## საქართველოს მთავრობის დადგენილება:

- “შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ”;
- “წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევების გამოკვლევისა და აღრიცხვის დებულება”

## საწარმოებში მოქმედი ნორმატიული აქტები:

- “მადნეული, არამადნეული და ქვიშობრივი საბადოების მიწისქვეშა წესით დამუშავებისას უსაფრთხოების ერთიანი წესები” (მოსკოვი 1987წ.)
- “უსაფრთხოების საერთო წესები მეტალურგიული წარმოების საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის” (მოსკოვი 1977წ.)
- “უსაფრთხოების წესები მიწისქვეშა სამუშაოების, რომლებიც სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას არ ითვალისწინებენ” (მოსკოვი 1986წ.);
- “ნახშირის შახტების უსაფრთხოების წესები”
- “კარიერების უსაფრთხოების წესები”
- “უსაფრთხოების წესები გაზის მეურნეობაში”
- “უსაფრთხოების წესები ჩაის მრეწველობის საწარმოებისათვის”
- “ფეროშენადნობთა წარმოების უსაფრთხოების წესები”
- “მადნეული და არამადნეული სასარგებლო წიაღისეულის სამსხვრევ-სახარისხებელი, გამამდიდრებელი, სააგლომერაციო და მომგუნდავებელი ფაბრიკების უსაფრთხოების წესები”
- “ენერგეტიკაში ენერგობიექტებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაციის, მოწყობისა და მათით სარგებლობის წესები”
- “სახანძრო-სამაშველო დანაყოფებში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესები”
- “მომხმარებელთა ელექტროდანადგარების ექსპლუატაციის წესები”

- “უსაფრთხოების წესები მომხმარებელთა ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას”
- “ამწეების უსაფრთხო ექსპლუატაციის ინსტრუქციების სამი კრებული“(1976,1984,1985წ.წ.წ.)
- “ელექტროსადგურების და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების დამტკიცების შესახებ”
- “სამშენებლო წესები და ნორმები” (СНиП III-4-80\*) მშენებლობაში
- “მშენებლობაში შრომის დაცვის ტიპური ინსტრუქციების კრებული” (1983წ)
- “ელექტროსადგურებისა და ქვესადგურების მოწყობილობათა ექსპლუატაციის ტექნიკური უსაფრთხოების წესები” (1972წ.)
- “წნევის ქვეშ მომუშავე ჭურჭლების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის წესები” (1976წ.)
- “მაგისტრალური გაზსადენის ტექნიკური ექსპლუატაციის წესები”
- “მაგისტრალური ნავთობსადენის ტექნიკური ექსპლუატაციის წესები”
- “ამიაკის სამაცივრო დანადგარების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის წესები”
- “აფეთქებადსაშიში ქიმიური, ნავთობპროდუქტების და ნავთობგადამამუშავებელი საწარმოების უსაფრთხოების საერთო წესები “

# საქართველოს კანონი

produqtis usafTxoebisa da Tavisufali mimoqcevis kodeqsi

amonaridebi kodeqsidan

## თავი IV

### ტექნიკური საფრთხის კონტროლი

მუხლი 16. ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ფუნქციები და უფლებამოსილებები

1. ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოა და კოდექსის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ" დადგენილი წესით ახორციელებს ობიექტების სახელმწიფო კონტროლსა და ზედამხედველობას;

2. ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო:

ა) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გასცემს განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული და ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვას;

ბ) გასცემს სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვას;

გ) ახორციელებს ობიექტების რეგისტრაციას ობიექტების უწყებრივ რეესტრში;

დ) ახორციელებს ობიექტების სავალდებულო ინსპექტირებას აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოს მეშვეობით;

### კომენტარი – რომელიც არ შექმნილა

ე) დამრღვევს აკისრებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას;

ვ) ახორციელებს ობიექტების ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების ოქმების დოკუმენტურ კონტროლს ტექნიკური ინსპექტირების ოქმებისა და ინსპექტირების ორგანოების ანგარიშების ანალიზის მეშვეობით;

ზ) გასცემს მითითებას ან/და განსაზღვრავს გონივრულ ვადას შეუსაბამობის გამოსწორებისათვის;

თ) ხელს უწყობს ამ თავით განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას;

ი) ახორციელებს დასახლებათა და სხვა ტერიტორიულ ერთეულთა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების დოკუმენტების შემუშავების ხელშეწყობას, მათი განხილვის ორგანიზებას, მეთოდოლოგიურ ხელმძღვანელობას თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

კ) აწარმოებს მშენებლობადამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღებას;

ლ) შეიმუშავებს სამშენებლო-საპროექტო ნორმებს, წესებს, ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს მისი კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ სფეროში;

მ) ახორციელებს პერსონალის გადამზადებას, სწავლებას და ამ მიზნით ატარებს ტრენინგებსა და კურსებს;

3. სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვის მისაღებად, "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე

მუხლით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების გარდა, ნებართვების მაძიებელი ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დამატებით წარუდგენს:

ა) სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენებისას სამუშაოთა წარმოების სიტუაციურ გეგმას, პროექტს ან პასპორტს;

ბ) მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების შესახებ.

4. აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი დაწესებულებები ახორციელებენ ობიექტების ზედამხედველობას, გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვის გაცემისადმი დაქვემდებარებული ობიექტებისა.

5. განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ზედამხედველობის დროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ფუნქციებია:

ა) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განახორციელოს სახელმწიფო ზედამხედველობა განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებზე, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრულ შემთხვევაში განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონებში;

ბ) უზრუნველყოს მშენებლობის ნებართვის გაცემისა და მშენებლობადაშორებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღების პროცესში სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ჩართვა;

გ) განახორციელოს უფლებამოსილი ორგანოების მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა;

დ) ამ კოდექსის 25-ე და 26-ე მუხლებით დადგენილი წესით შეაჩეროს საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე უნებართვო მშენებლობა ან უნებართვო დემონტაჟი. საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე უნებართვო მშენებლობის ან უნებართვო დემონტაჟის შეჩერების საფუძველი შეიძლება იყოს სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობა, მშენებლობის მონაწილეთა მიერ მშენებლობის უსაფრთხოებისა და შენობა-ნაგებობების საექსპლუატაციო საიმედოობის დაცვა;

ე) გააკონტროლოს მშენებლობის მონაწილეთა მიერ მშენებარე შენობა-ნაგებობების საპროექტო და ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობის მოთხოვნების დაცვა;

6. განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ზედამხედველობის დროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო უფლებამოსილია:

ა) შეამოწმოს მისი კონტროლისადმი დაქვემდებარებული სამშენებლო ობიექტები;

ბ) მშენებლობის მონაწილეებს მოსთხოვოს ყველა აუცილებელი საპროექტო, ნორმატიული, საშემსრულებლო და სამშენებლო მასალის შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

გ) სამშენებლო საქმიანობაში დარღვევის არსებობის შემთხვევაში მშენებლობის მონაწილეთა მიმართ გასცეს მითითება მშენებლობის პროექტის, სამშენებლო ნორმებისა და წესების და სხვა ნორმატიული დოკუმენტაციის მოთხოვნების დარღვევათა გამოსწორების შესახებ. მითითება გაიცემა იმ შემთხვევაშიც, როდესაც სამშენებლო ობიექტზე არსებული (შემოტანილი) სამშენებლო მასალები, ნაკეთობები და კონსტრუქციები ვერ უპასუხებს დადგენილ მოთხოვნებს და მათი გამოყენება უნდა აიკრძალოს. მითითება გაიცემა აგრეთვე სამშენებლო საქმიანობაში დადგენილი საორგანიზაციო წესების დარღვევის შემთხვევაში;

დ) ამ კოდექსის 25-ე და 26-ე მუხლებით დადგენილი წესით შეაჩეროს საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე მშენებლობა ან უნებართვო დემონტაჟი. საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის ან უნებართვო დემონტაჟის შეჩერების საფუძველი შეიძლება იყოს:

დ.ა) მშენებლობის ან დემონტაჟის სათანადო ნებართვის გარეშე განხორციელება;  
დ.ბ) მშენებლობის პროექტის, სამშენებლო ნორმების და წესების და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებლობა, რომლის გამოსწორება მშენებლობის შეჩერების გარეშე შეუძლებელია;

დ.გ) სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მითითების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა;

ე) დასაბუთებული ექვსის შემთხვევაში დამკვეთს ან სამშენებლო ორგანიზაციას მოთხოვოს დამატებითი ლაბორატორიული გამოცდებისა და გაზომვების ჩატარება. თუ დარღვევა დადასტურდა, ჩატარებული ლაბორატორიული გამოკვლევის ხარჯებს გაიღებს დამრღვევი; წინააღმდეგ შემთხვევაში ხარჯებს გაიღებს სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო;

ვ) მიიღოს დადგენილება საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული, აღდგენილი, რეკონსტრუირებული ან/და დამონტაჟებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის შესახებ. დადგენილების მიღების საფუძველი შეიძლება იყოს:

ვ.ა) უნებართვო მშენებლობის თაობაზე სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მითითების შეუსრულებლობა;

ვ.ბ) მშენებლობის პროექტის მნიშვნელოვანი დარღვევით განხორციელება, რის გამოც არ არის უზრუნველყოფილი კონსტრუქციული ელემენტების სიმტკიცე, მდგრადობა და საიმედოობა;

ვ.გ) შენობა-ნაგებობების მდგრადობა, თუ იგი ვერ აკმაყოფილებს უსაფრთხო ექსპლუატაციის პირობებს, არ არის უზრუნველყოფილი კონსტრუქციული ელემენტების სიმტკიცე, მდგრადობა და საიმედოობა და ამ დარღვევების გამოსწორება ტექნიკურად შეუძლებელია.

7. ამ მუხლით, ამ კოდექსის 25-ე, 26-ე და 43-ე, 54-ე მუხლებით გათვალისწინებულ ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებებს სხვა ობიექტების სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სფეროში ახორციელებენ ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილი ორგანოები.

8. ტექნიკური და სამსენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დაფინანსების წრაროებია:

ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) მიზნობრივი გარანტიები;

გ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული (შესასრულებელი) სამუშაოდან მირებული შემოსავალი;

დ) სააგენტოს მომსახურების საფასური;

ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

9. ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული სახსრები და შემოსავლები სრულად ხმარდება ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიზნების განხორციელებას და ფუნქციების შესრულებას

10. ამ მუხლის მე-8 ნაწილის "დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების სახეები და საფასური განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დაგდენილებით.

მუხლი 17. ობიექტების უწყებრივი რეესტრი

1. ობიექტების უწყებრივ რეესტრს აწარმოებს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო.

2. იმ ობიექტების ჩამონათვალს, რომლებიც შეიტანება ობიექტების უწყებრივ რეესტრში და რეესტრის წარმოების წესს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

**კომენტარი - დღემდე არ არის დამტკიცებული უწყებრივი რეესტრი, არ არსებობს მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების სრული ნუსხა.**

3. ობიექტების უწყებრივ რეესტრში ინფორმაცია შეიტანება ობიექტების ტექნიკური სპეციფიკაციის მიხედვით.

4. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების, გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვის გაცემისადმი დაქვემდებარებული ობიექტებისა, უწყებრივ რეესტრებს აწარმოებენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი დაწესებულებების ორგანოები.

### მუხლი 18. ობიექტები და მათი ზედამხედველობა

1. საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება ამ მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული ობიექტების ზედამხედველობის წესი და მასხასიათებლები/პარამეტრები, რომელთა მიხედვითაც ისინი მიეკუთვნება ობიექტებს.

2. ობიექტები ექვემდებარებიან ზედამხედველობას.

3. ობიექტების ზედამხედველობა ხორციელდება ორი სახით:

- ა) ნებართვის გაცემითა და სანებართვო პირობების შესრულების კონტროლით;
- ბ) პერიოდული ინსპექტირებით

4. ნებართვების გაცემა და სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი ხორციელდება შემდეგ ობიექტებზე:

- ა) სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენება;
- ბ) განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული და ბირთვული ობიექტების) მშენებლობა.

5. ობიექტებია:

- ა) კარიერი;
- ბ) მალარო;
- გ) შახტი;
- დ) ბუნებრივი გამოქვაბული და მღვიმე, სადაც ხდება ადამიანთა ორგანიზმზე დაზიანება;
- ე) საშიში ნარჩენების ნაგავსაყრელი ან/და ტერაკონი;
- ვ) სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელი;
- ზ) ჟანგბადის წარმოება და მასთან დაკავშირებული სხვა აფეთქებასაფრთხიანი პროცესი
- თ) თხევადი ჟანგბადის წარმოება;
- ი) რეზერვუარში/ცილინდრში ჟანგბადის ჩაჭირხვნა;
- კ) სამეწარმეო დანიშნულებით გამოყენებადი, ამიაკზე მომუშავე სამაცივრო დანადგარი;
- ლ) ნავთობაზა;
- მ) მაგისტრალური ნავთობსადენი;
- ნ) მაგისტრალური გაზსადენი

**კომენტარი - არ არის ჩამონათვალში დასახლებულ პუნქტებში არსებული საშუალო და დაბალი წნევის გაზსადენები;**

ო) ამწე მოწყობილობა;

- პ) ლიფტი;
- ჟ) ესკალატორი;
- რ) ფუნქციონირი;
- ს) საბაგირო გზა;
- ტ) ატრაქციონი;
- უ) საქვაბე დანადგარი;
- ფ) წნევაზე მომუშავე ჭურჭელი;
- ქ) ჰიდროენერგეტიკული ნაგებობების (ხელოვნური წყალსატევები, კაშხლები, სარეგულაციო ნაგებობები, ჰიდროტექნიკური ნაგებობები) კონსტრუქციული მდგრადობა;
- ღ) ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრული ობიექტები.

*კომენტარი - 2006 წელს გაუქმდა შრომის ტექნიკური ინსპექცია, რომლის უფლებამონაცვლე სამსახურიც დღემდე არ შექმნილა. ხელისუფლება შრომის ტექნიკური ინსპექციის უფლებამონაცვლედ მიიჩნევს ტექნიკურ და სამშენებლო სააგენტოს, რომელიც მხოლოდ მომეტებული საფრთხის ობიექტებს უწევს ზედამხედველობას.*

მუხლი 23.. ობიექტის მფლობელის მოვალეობები

1. ობიექტის მფლობელი ვალდებულია:
  - ა) ობიექტების უწყებრივ რეესტრში რეგისტრაციის მიზნით წარადგინოს შესაბამისი ინფორმაცია;
  - ბ) უზრუნველყოს ობიექტის უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობა;
  - გ) უზრუნველყოს შრომის უსაფრთხო პირობები;
  - დ) უზრუნველყოს ობიექტის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება;
  - ე) არ განახორციელოს შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის არმქონე ობიექტის ექსპლუატაცია;
  - ვ) ინსპექტირების დოკუმენტი შეინახოს 6 წლის განმავლობაში, თუ ტექნიკური რეგლამენტით სხვა ვადა არ არის დადგენილი;
  - ზ) შეასრულოს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მითითებები;
  - თ) განსაზღვროს ობიექტის უსაფრთხოებისთვის პასუხისმგებელი პირი/ორგანო;
  - ი) განახორციელოს ღონისძიებები ავარიის/უბედური შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით;
  - კ) დაუყოვნებლივ შეატყობინოს ტექნიკურ და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მომხდარი ავარიის შესახებ და მიიღოს ყველა ზომა ავარიის შედეგების აღმოსაფხვრელად;
2. ობიექტის მფლობელი ვალდებულია ავარიის/უბედური შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს ტექნიკურ და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს. შეტყობინება დასაშვებია კომუნიკაციის ყველა საშუალებით.

*კომენტარი - ამ მუხლში არ არის პუნქტი, რომელიც დაავალდებულებს დამსაქმებელს შრომის უსაფრთხოების კომიტეტის და სამედიცინო შრომის პიგიენის სამსახურის ფუნქციონირებას, რომლებიც ახდენენ საწარმოში არსებული რისკების დადგენას, მათ შეფასებას და მართვას, შესაბამისად საქართველოში მოქმედ არცერთ საწარმოში შრომის უსაფრთხოების კომიტეტი და სამედიცინო შრომის პიგიენის სამსახური არ ფუნქციონირებს.*



მუხლი 24. ობიექტზე შრომის უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა

1. ობიექტზე შრომის უსაფრთხოების დაცვის წესები და პროცედურები, აგრეთვე მათი დაცვისთვის პასუხისმგებელ პირთა ვალდებულებები დგინდება შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით, შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:

ა) დამსაქმებლის მიერ სამუშაო ადგილის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ბ) შრომის უსაფრთხოების დაცვის წესების დაცვისთვის პასუხისმგებელი პირის/ორგანოს განსაზღვრა;

გ) დასაქმებულის გარდაცვალების, მისი ჯანმრთელობის დაზიანების ან დაავადების თავიდან აცილების მიზნით პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა;

დ) დასაქმებულთა ინფორმირება ინსტრუქციების გამოკვრის, ობიექტების ნიშანდების, დასაქმებულთა ტრენინგის, რისკების შეფასებისა და მართვის მეშვეობით;

2. მშენებლობის პროცესში შრომის უსაფრთხოების პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით;

3. დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულებს მიაწოდოს მომეტებულ ტექნიკურ საფრთხესთან დაკავშირებული ინფორმაცია;

4. დასაქმებულს, რომელიც იმყოფება სამუშაო ადგილზე, უფლება აქვს იცოდეს:

ა) რა სახის მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ სამუშაოს ასრულებს;

ბ) რა შედეგებს გამოიწვევს შრომის უსაფრთხოების დაცვის წესების დაუცველობა, როგორც პირადად მისთვის, ისე გარშემომყოფთათვის;

გ) რა ღონისძიებებია განსახორციელებელი უსაფრთხო სამუშაო პირობების უზრუნველსაყოფად.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში შრომის უსაფრთხოების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი

კომენტარი - კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყნის კანონმდებლობა შრომის დაცვის სფეროში. მათ შორის ლატვიაში, ესტონეთში, პოლონეთში, მოლდოვაში მოქმედი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა. აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთხაზოვლილ ქვეყანაში მთავარი სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო შრომის სახელმწიფო ინსპექციაა, რომელიც ყველა ობიექტზე ახორციელებს ინსპექტირებას. ქვემოთ გაანალიზებულია (და მოტანილია ამონაჩვენები) ამ ქვეყნების შესაბამისი კანონები, რომლებიც ამ საკითხებზე საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური დისკუსიების გათვალისწინებით შესაძლოა საინტერესო იყოს როგორც პროფკავშირების ლიდერებისათვის, ასევე დარგობრივი და პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების შრომის ტექნიკური ინსპექტორებისათვის.

ლატვიის შრომის კოდექსი (მუხლი 14) დასაქმებულის უფლებების დარღვევის პრევენციის მიზნით დამსაქმებელი, რომელიც აიყვანს თანამშრომელს ავადმჯობულებს აცნობოს შრომის სახელმწიფო ინსპექციას აყვანილი მუშაკის შემდეგი მონაცემები:

1. სახელი და გვარი;
2. სამუშაოს დაწყების დრო;
3. სამუშაო დროის ხანგრძლივობა;
4. სამუშაოს ადგილმდებარეობა;
5. დასაქმებულების წარმომადგენლობა, რომელიც უფლებამოსილია წარმოადგინოს დასაქმებული ლატვიის სახელმწიფო ინსტიტუციებსა და სასამართლოში.

კანონი „შრომის დაცვის შესახებ“ ადგენს, რომ დამსაქმებელმა უნდა აწარმოოს დოკუმენტაცია, რომელიც ეხება საწარმოო რისკების შეფასების შედეგებს (მუხლი 7). იგი ასევე ითვალისწინებს სამუშაო პროცესის შიდა ზედამხედველობას შრომის უსაფრთხოების კომიტეტის საშუალებით – “შრომის უსაფრთხოების კომიტეტი ადგენს პროცედურებს სამუშაო ადგილის შიდა კონტროლის უზრუნველსაყოფად, რომელიც მოიცავს რისკების შეფასებას”.

იგივე კანონი (მუხლი 8) დეტალურად განსაზღვრავს სამუშაო ადგილზე რისკების შეფასების პროცედურებს:

“დამსაქმებელი (შრომის უსაფრთხოების კომიტეტი) სამუშაო ადგილზე რისკების შეფასებას ახდენს შემდეგი თანმიმდევრობით:

1. ადგენს სამუშაოზე არსებულ იმ ფაქტორებს, რომლებიც რისკის წინაშე აყენებს დასაქმებულთა უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას;
2. აღრიცხავს იმ დასაქმებულებს და სხვა პირებს, რომელთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის საწარმოო პროცესები და სამუშაო გარემო;
3. აფასებს რისკის ხარისხს;
4. ატარებს ყველა აუცილებელ პრევენციულ ღონისძიებას სამუშაო ადგილზე რისკ-ფაქტორების თავიდან აცილების მიზნით”.

ლატვიის კანონი “შრომის დაცვის შესახებ” (მუხლი 19) ადგენს დასაქმებულის უფლებას მიიღოს დამატებითი ანაზღაურება რისკის შემცველ და საშიშ სამუშაოებზე მუშაობის გაგრძელებაზე უარის თქმის შემთხვევაში. კერძოდ, ასეთი

სამსახურიდან წასვლის შემდეგ დასაქმებულს შეუძლია კომპენსაციის მოთხოვნა, თუ აღნიშნული დაკავშირებულია მის სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების წესების დაუცველობასთან:

“თუ დასაქმებული წყვეტს შრომით ურთიერთობას დამსაქმებელთან იმ მიზეზით, რომ დამსაქმებელმა არ მიიღო ყველა საჭირო ზომა სამუშაო ადგილზე მისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და თუ მისი სამუშაო იყო საფრთხისშემცველი, რაც ასევე დადასტურებული იყო სახელმწიფო შრომის ინსპექციის მიერ, დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულს გადაუხადოს კომპენსაცია არანაკლებ 6 თვის ხელფასისა”.

იგივე კანონი (მუხლი 26) სახელმწიფო ზედამხედველობის და კონტროლის ვალდებულებას შრომის დაცვის სფეროში აკისრებს, უპირველეს ყოვლისა, შრომის სახელმწიფო ინსპექციას, ასევე სხვა უფლებამოსილ ინსტიტუციებს შესაბამისი მარეგულირებელი კანონისა და მათი კომპეტენციის მიხედვით.

შრომის კოდექსი (მუხლი 66) ასევე აწესებს დასაქმებულის მიერ რისკის შემცველ და საშიშ სამუშაოებზე დასაქმებისას დამატებითი ანაზღაურების მიღების უფლებას:

“დამატებითი ანაზღაურება ენიშნებათ იმ დასაქმებულებს, რომლებიც მუშაობენ მათი ჯანმრთელობისთვის და სიცოცხლისთვის რისკის შემცველ სამუშაოებზე, კერძოდ, ისეთ სამუშაოებზე, სადაც მძიმე შრომითი პირობების გამო გაზრდილია ფსიქოლოგიური და ფიზიკური რისკები, რომლებიც საფრთხეს უქმნის დასაქმებულის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას და თუ ამ რისკების აცილება ან შემცირება ვერ ხერხდება სხვა მეთოდებით”.

ასეთ შემთხვევებში დამატებითი ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება კოლექტიური და შრომითი ხელშეკრულებით.

შრომის კოდექსი (მუხლი 67) განსაზღვრავს დამის სამუშაოზე მუშაობისათვის დამატებითი ანაზღაურების პირობებსაც:

“დასაქმებულმა, რომელიც ასრულებს დამის სამუშაოს უნდა მიიღოს დამატებითი ანაზღაურება არანაკლებ 50% მითითებული საათობრივად ან ყოველდღიურად განსაზღვრული სახელფასო განაკვეთისა. მაგრამ თუ უკვე მოხდა წინასწარი შეთანხმება თანხის ერთიან გადახდაზე მაშინ ის მიიღებს დამატებით ამ მთლიანი თანხის 50 %-ს”. კოლექტიური ხელშეკრულების საფუძველზე შესაძლებელია დამატებითი ანაზღაურების ოდენობის გაზრდა.<sup>10</sup>

**ესტონეთში** მოქმედებს შრომის ინსპექცია, თუმცა ამავდროულად “ჰიგიენისა და შრომის უსაფრთხოების შესახებ” კანონის შესაბამისად (მუხლი 18) დამსაქმებელი ვალდებულია საწარმოში შექმნას შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის საბჭო დასაქმებულთა მონაწილეობით. აღნიშნული საბჭო არის დამსაქმებელსა და დასაქმებულთა შორის თანამშრომლობის ორგანო – “საწარმოებში, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს არა ნაკლებ 50 ადამიანს, დამსაქმებლის ინიციატივით იქმნება საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან წარმომადგენლები თანაბარი რაოდენობით, დანიშნულნი დამსაქმებლის მიერ და არჩეულნი დასაქმებულთა მხრიდან. საბჭოს შემადგენლობაში შედის არა ნაკლებ 4 წევრი, მათი უფლებამოსილების ვადაა 4 წელი”.

შრომის ინსპექცია უფლებამოსილია ასევე მოითხოვოს საწარმოში საბჭოს შექმნა იმ შემთხვევაშიც თუ დასაქმებულების რაოდენობა 50 კაცზე ნაკლებია და თუ საწარმოში მიმდინარე სამუშაო პროცესები მაღალი რისკის შემცველია

<sup>10</sup> ლატვიის თავისუფალი პროფკავშირების კონფედერაცია და მისი წევრი დარგობრივი პროფკავშირები, ლატვიის რესპუბლიკაში შრომის დაცვის სფეროში მოქმედი რეგულაციები: შრომის კოდექსი - მიღებულია 2001 წლის 20 ივლისს; კანონი “შრომის დაცვის შესახებ”- მიღებულია 2001 წლის 20 ივნისს

ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის, და ასევე თუ საწარმოში ხშირია საწარმოო ტრავმების და პროფესიული დაავადებების შემთხვევები.

დამსაქმებელი მითითებულ ვადაში აცნობებს წერილობითი ფორმით შრომის ინსპექციის ადგილობრივ დაწესებულებას საბჭოს შექმნის შესახებ და წარადგენს შესაბამის მონაცემებს:

- 1) სახელი, გვარი, თანამდებობა და საბჭოს წევრის წარმომადგენლის საკონტაქტო მონაცემები;
- 2) საბჭოს წევრების სახელი, გვარი და თანამდებობა;
- 3) საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადა.

საბჭოს ფუნქცია-მოვალეობა საკმაოდ ვრცელი და მნიშვნელოვანია, კერძოდ, საბჭო:

- ა) ატარებს სისტემატურ ანალიზს შრომის დაცვის საკითხებში, ახდენს არსებული ნაკლოვანებების რეგისტრაციას, გაკეთებული ანალიზის საფუძველზე სთავაზობს წინადადებებს დამსაქმებელს პრობლემების აღმოსაფხვრელად და მიღებული გადაწყვეტილებების შემდგომ აკვირდება ამ გადაწყვეტილებების რეალიზების პროცესს;
- ბ) მონაწილეობს პროგრამებში, რომლის მიზანია საწარმოში შრომის უსაფრთხოების და ჰიგიენის მდგომარეობის გაუმჯობესება, მონაწილეობს რეკონსტრუქციის დაგეგმვაში, რემონტთან დაკავშირებულ საკითხებში, ტექნიკურ სიახლეებში და სხვა საწარმოო დაგეგმარებაში;
- გ) ეცნობა შიდა საწარმოო კონტროლის შედეგებს და აუცილებლობის შემთხვევაში იძლევა წინადადებებს ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად;
- დ) აკეთებს საწარმოო შემთხვევების, პროფესიული დაავადებების ანალიზს და თვალყურს ადევნებს დამსაქმებლის მიერ პრევენციული ღონისძიებების გატარებას;
- ე) განსაკუთრებულად ზრუნავს არასრულწლოვან და ქალ დასაქმებულთათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად, ასევე მათთვის, ვისაც აქვთ ფსიქოლოგიური და ფსიქიკური პრობლემები.

საბჭო თავის წინადადებებს დამსაქმებელს აწვდის წერილობითი ფორმით, ხოლო დამსაქმებელი თავისი ხარჯით ორგანიზებას უკეთებს საბჭოს წევრების კვალიფიკაციის ამაღლებას სამუშაო დროში. სწავლის პერიოდში დასაქმებულებს უნარჩუნდებთ არსებული სახელფასო განაკვეთი.

კანონი საბჭოს ავალდებულებს არაუგვიანეს 1 დეკემბრისა აცნობოს ადგილობრივ შრომის ინსპექციას ბოლო 12 თვის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ.

კანონი “ჰიგიენისა და შრომის უსაფრთხოების შესახებ” და მთავრობის შესაბამისი დადგენილება განსაზღვრავს საბჭოს არჩევითობის საინტერესო წესს, რითაც სახელმწიფო ახალისებს სოციალურ დიალოგსა და თანამშრომლობას სოციალურ პარტნიორებს- დამსაქმებლებსა და დასაქმებულთა გაერთიანებას შორის.

იგივე წესით დგინდება ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების და დასაქმებულების ადჭურვის წესი, მათ შორის ტანსაცმლის, განკუთვნილი უბედური შემთხვევებისგან დასაქმებულთა დაცვისთვის და იმ დაავადებებისათვის, რომელიც დაკავშირებულია სამუშაო პროცესთან.

არსებული წესით ინდივიდუალური დაცვის საშუალებებზე არ განიხილება:

- 1) ჩვეულებრივი სამუშაო ტანსაცმელი და ფორმა;
- 2) საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ავარიული და საგანგებო სამსახურებისათვის;
- 3) საშუალებები, რომლებიც გამოიყენება შეიარაღებული ძალების მიერ, პოლიციის და სხვა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი სამსახურების მიერ;

- 4) სპორტული აღჭურვილობა;
- 5) ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სატრანსპორტო საშუალებებში;
- 6) თავდაცვის საშუალებები;
- 7) სახიფათო საგნების აღმომჩენი პორტატული საშუალებები.

დამსაქმებელმა უნდა მოამარაგოს დასაქმებულები ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, ასევე შეზღუდული კოლექტიური დაცვის საშუალებებით ან შრომის ორგანიზების ტექნიკური საშუალებებით. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების არჩევამდე, დამსაქმებელმა უნდა ჩაატაროს რისკის ფაქტორების ანალიზი საწარმოში, იმ რისკ ფაქტორების გამოვლენის მიზნით, რომელთა ზემოქმედება ვერ აღმოიფხვრება ან ვერ შემცირდება ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების გარეშე.<sup>11</sup>

**პოლონეთის** კანონმდებლობის მიხედვით დამსაქმებელი ვალდებულია იცოდეს დებულებით გათვალისწინებული შრომის უსაფრთხოების წესები. დამსაქმებელი, რომელიც იწყებს ბიზნეს-საქმიანობას, ვალდებულია ამ ფაქტის შესახებ აცნობოს შრომის ინსპექციას და სახელმწიფო სანიტარულ ინსპექტორს, რომელიც დაადასტურებს, რომ შრომითი, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მოთხოვნები დაცულია. იგი ვალდებულია ასევე გაიაროს იგივე პროცედურები, თუ შეიცვლება სამუშაო ადგილი და საქმიანობის სახე. ასევე უნდა მოიქცეს იგი საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევაშიც.

იმ მიზნით, რომ გაკონტროლდეს დასაქმებულთა უფლებები და უსაფრთხოება, პოლონეთში შეიქმნა ზედამხედველობის ორგანოების სისტემა. ზედამხედველობა გულისხმობს:

- დასაქმებულის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის წესების კონტროლსა და მათზე დაკვირვებას.
- პრევენციული ხასიათის აქტივობებს.
- საჯარიმო მეთოდების გამოყენებას დარღვევების არსებობის შემთხვევაში.

პოლონეთში ამჟამად არსებობს ზედამხედველობის სამი მთავარი სამსახური:

- 1) სახელმწიფო ზედამხედველობა;
- 2) ადმინისტრაციული ზედამხედველობა;
- 3) სოციალური ზედამხედველობა.

პოლონელი დამსაქმებელი, რომელიც 50-ზე მეტ მომუშავეს ასაქმებს, ლატვიისა და ესტონეთის სახელმწიფო კანონმდებლობის მსგავსად, ვალდებულია საწარმოში შექმნას შრომის უსაფრთხოების კომიტეტი. კომიტეტის ფუნქციაა სამუშაო ადგილის ინსპექტირება, რისკების დაგდენა და მათი ხარისხის განსაზღვრა. კომიტეტი დამსაქმებელს სთავაზობს წინადადებებს, რაც გულისხმობს პრევენციული ღონისძიებების გატარებას შრომითი პირობების გასაუმჯობესებლად, მათ შორის, საწარმოო ტრავმების და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილების მიზნით.

საქართველოში მოქმედ საწარმოებში და არც მთლიანად სახელმწიფოში არ ხდება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე დასაქმებულთა აღრიცხვა

<sup>11</sup> ესტონეთის პროფკავშირების კონფედერაცია და მისი წევრი დარგობრივი პროფკავშირები, ესტონეთის რესპუბლიკაში შრომის დაცვის სფეროში მოქმედი რეგულაციები-კანონი “პიიგენისა და შრომის უსაფრთხოების შესახებ” -მიღებულია 1999 წლის 16 ივნისს

და შესაბამისად არ არსებობს ასეთ სამუშაოებზე დასაქმებულთა ნუსხა. არსებობს მხოლოდ მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალი (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება № 147/6), რომელიც მიახლოებით 8 ათასამდე პროფესიას მოიცავს. მას თან ერთვის დასაქმებულთა ჯანმრთელობისთვის და სიცოცხლისთვის საშიში მავნე ფაქტორების ხარისხის დამდგენი საანგარიშო ცხრილები კოეფიციენტებითურთ, რაც შესაბამისი გაანგარიშებით, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე დასაქმებულთა რაოდენობის დადგენის საშუალებას იძლევა. თუმცა, მიუხედავად აღნიშნული დოკუმენტის არსებობისა, დღემდე ვერ მოხერხდა ასეთ სამუშაოებზე დასაქმებულთა რაოდენობის დადგენა. შესაბამისად ვერ მოხდება მათზე კომპენსაციების გაცემის წესის შემუშავება.<sup>12</sup>

---

<sup>12</sup> პოლონეთის პროფკავშირები “სოლიდარობა” და მისი წევრი დარგობრივი პროფკავშირები, პოლონეთის რესპუბლიკაში შრომის დაცვის სფეროში მოქმედი რეგულაციები

## დასკვნები და რეკომენდაციები:

როგორც აღვიღობრივი, ისე საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რამდენადაც შრომის დაცვის ერთიან სისტემაში ჩართულია რამდენიმე სუბიექტი სხვადასხვა ინტერესებით, რაც არ უნდა ძლიერი იყოს ამ სისტემის შემადგენელი საკანონმდებლო ბაზა, მაინც ყველაზე ქმედითად რჩება მოლაპარაკებების გზა, ორგანიზაციაში შრომის დაცვის პრობლემების გადაწყვეტის გზების ერთობლივი ძიება – ყველაფერი ის, რასაც ცივილიზებული სამყარო გულისხმობს ცნებაში “სოციალური პარტნიორობა”.

შრომის დაცვაში სოციალური პარტნიორობა სასარგებლოა ორივე მხარისათვის: შრომის პირობების გაუმჯობესებაში შეტანილი ერთობლივი წვლილი ზრდის შრომის ნაყოფიერებას და ამალგებს პროდუქციის ხარისხს, რაც მნიშვნელოვანია დამსაქმებლისათვის და ამავე დროს ხელს უწყობს მუშაკთა ჯანმრთელობის შენარჩუნებას; და პირიქით, შრომის ცუდი პირობები “უფასო რძის” დარიგებასთან ერთად და მცირე დანამატი ხელფასზე - ზიანს აყენებს დასაქმებულთა ჯანმრთელობას და გრძელვადიან პერსპექტივაში საზიანოა ბიზნესის განვითარებისათვის.

✚ ორგანიზაციის/კომპანიის/დაწესებულების თანამშრომლებს უფლება უნდა ჰქონდეთ გამოვიდნენ შრომის დაცვის ერთობლივი კომისიის შექმნის ინიციატივით და აირჩიონ თავიანთი წარმომადგენლები, ასევე რწმუნებულები (ნდობით აღჭურვილი პირები). ამ პირების ფუნქციებში უნდა შევიდეს მუშაკთა ინტერესების დაცვა, მუშაკებისა და დამსაქმებლებისათვის ორმხრივად მისაღები გადაწყვეტილებების ძიება შრომის დაცვის სფეროში. ამ კუთხით ზემოთგანხილული ესტონური და ლატვიური გამოცდილება შრომის დაცვის ერთობლივი კომიტეტების (საბჭოების) ფუნქციონირებისა საქართველოსთვის შესაძლოა წარმატებული აღმოჩნდეს. ასეთ შემთხვევაში შრომითი კოლექტივების წარმომადგენლების ფუნქცია იქნებოდა არა კონტროლი, არამედ ორგანიზაციაში შრომის დაცვის მდგომარეობაზე დაკვირვება, ხოლო შრომის დაცვის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება მოხდებოდა დამსაქმებელთან ერთობლივად.

✚ საშიშ (საფრთხის შემცველ) ობიექტებზე საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ყურადღების სრული კონცენტრაციის გამო (იგულისხმება ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო) შრომის დაცვის მდგომარეობაზე მონიტორინგის გარეშე დარჩენილი ზოგიერთ მსხვილ, მრავალ საშუალო და მცირე საწარმოში დასაქმებულთა დიდი რაოდენობა. ნაკლებადსაშიშ საწარმოო ობიექტებზე საერთოდ აღარ ხორციელდება პრევენციული ზედამხედველობა და საწარმოო ტრავმატიზმის გამოკვლევა. შრომის უსაფრთხოებასა და ტრავმატიზმზე სახელმწიფო სტატისტიკური აღრიცხვა ან მონაცემთა სრულყოფილი, დამოუკიდებელი ბაზა არ არსებობს. ამასთან, რა დადებითი ეკონომიკური შედეგები მოჰყვა შრომის ინსპექციის გაუქმებას საქართველოს ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით - კვლევის პერიოდში ამ კუთხით სახელმწიფოს მიერ ჩატარებული ანალიზის შესახებ ინფორმაცია ვერ იქნა მოპოვებული. ჩვენი რეკომენდაციით: უნდა შეიქმნას მოტივირებული, გამჭვირვალედ მომუშავე და შრომის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კომპეტენციის შრომის დაცვის (უსაფრთხოების) მონიტორინგის სამსახური. ახალშექმნილმა სამსახურმა უნდა შეითავსოს 2006 წელს გაუქმებული შრომის სახელმწიფო ინსპექციის ფუნქცია, რაც ყველა დასაქმებული ადამიანისათვის თანაბრად უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხო გარემოს და ტექნიკურ უსაფრთხოებას.

- ✚ წარმოებაში მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხზე ზედამხედველობის ორგანოს არარსებობის გამო წარმოშობილი პრობლემების მოგვარება მარჩენალდაკარგული ან შრომისუუნარო, ხშირ შემთხვევაში გადაადგილების უნარს მოკლებული, უსახსროდ დარჩენილი დასაქმებულის ან მისი ოჯახის წევრების პრობლემად რჩება მხოლოდ. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის განსახორციელებლად და შრომის კანონმდებლობის ცხოვრებაში ეფექტურად გასატარებლად აუცილებელია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შრომის ინსპექციის შესახებ 81-ე კონვენციის რატიფიცირება.
- ✚ არსებული მონაცემებით საქართველოში არ არსებობს სერთიფიცირებული ლაბორატორიები, რომლებიც ჩაატარებენ მავნე საწარმოო ფაქტორების გაზომვასა და შეფასებას. საჭიროა სამთავრობო ან სხვა საკანონმდებლო დოკუმენტით შეიქმნას შრომის დაცვის ეროვნული ბიურო, რომელშიც გაერთიანებული იქნებიან სამმხრივი დიალოგის მონაწილე მხარეთა, ჯანდაცვის, პროფდაავადებათა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უსაფრთხოებასა და სამუშაო გარემოზე ზედამხედველი ორგანოების კვალიფიციური წარმომადგენლები, სხვა დაინტერესებული მხარეები. შრომის დაცვის პრობლემურ საკითხებზე ბიუროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულება, კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებში, სავალდებულო იქნება დამსაქმებლისა და დასაქმებულის მხარისათვის.
- ✚ აუცილებელია სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ეფექტურად ამუშავება რათა საქართველოს მთავრობის, დამსაქმებელთა ორგანიზაციების და პროფესიული კავშირების ერთობლივი ძალისხმევით ხელი შეეწყოს საწარმოო ავარიებისა და უბედური შემთხვევების პროფილაქტიკას, შრომის ბაზარზე ჯანმრთელი, კვალიფიციური მუშახელის შენარჩუნებას, საწარმოო ადჟურვილობის, ტექნოლოგიური პროცესების განახლებას, რაც აუცილებლად დადებითად აისახება ქართული ეკონომიკის განვითარებაზე და უფრო მიმზიდველს გახდის საინვესტიციო გარემოს.



## საინფორმაციო წყაროები იმ შრომებისა და კვლევების, რომლებიც გამოყენებულ იქნა პუბლიკაციაზე

- ✚ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 170-ე, 240-ე და 240(ა)-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებზე, რასაც მოჰყვა მუშაკების ჯანმრთელობის დაზიანება ან გარდაცვალება;
- ✚ საქართველოს პროფესიული კავშირების კვლევა: საქართველო-შრომის დაცვა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილებზე, საქართველოს პროფკავშირების როლი შრომის დაცვისა და უსაფრთხო შრომის საკითხებში. გვ 14, თბილისი 2009 წ;
- ✚ ეკოლოგიური სამართლის ცენტრი, იხ. <http://www.liberali.ge> ;
- ✚ საქართველოს პროფესიული კავშირების კვლევა: საქართველო-შრომის დაცვა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილებზე, შ.პ.ს. “საქცემენტი“-ის კასპის ცემენტის ქარხანაში ეპიდემიოლოგიური კვლევის შედეგები. გვ 27, თბილისი 2009 წ;
- ✚ საქართველოს პროფესიული კავშირების კვლევა: საქართველო-შრომის დაცვა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილებზე, მომუშავეთა შრომის პირობების ჰიგიენური შეფასება მანგანუმის მადნის მოპოვება-გამდიდრებისას საქართველოში. გვ-24, თბილისი 2009 წ;
- ✚ საქართველოს პროფესიული კავშირების კვლევა: საქართველო-შრომის დაცვა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილებზე, საქართველოში პროფესიული დაავადებების განაწილება. გვ-21, თბილისი 2009 წ;
- ✚ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ ორგანიზაციებში (საწარმოებში) აღრიცხული და გამოკვლეული საწარმოო შემთხვევების მასალები;
- ✚ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების კვლევა და ანალიზი;
- ✚ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების მიერ განხორციელებული აქტივობები-სასამართლო პროცესები, ღონისძიებები;
- ✚ ლატვიის თავისუფალი პროფკავშირების კონფედერაცია და მისი წევრი დარგობრივი პროფკავშირები, ლატვიის რესპუბლიკაში შრომის დაცვის სფეროში მოქმედი რეგულაციები: შრომის კოდექსი - მიღებულია 2001 წლის 20 ივნისს; კანონი “შრომის დაცვის შესახებ“- მიღებულია 2001 წლის 20 ივნისს;
- ✚ ესტონეთის პროფკავშირების კონფედერაცია და მისი წევრი დარგობრივი პროფკავშირები, ესტონეთის რესპუბლიკაში შრომის დაცვის სფეროში მოქმედი რეგულაციები-კანონი “ჰიგიენისა და შრომის უსაფრთხოების შესახებ” -მიღებულია 1999 წლის 16 ივნისს;
- ✚ პოლონეთის პროფკავშირები “სოლიდარობა” და მისი წევრი დარგობრივი პროფკავშირები, პოლონეთის რესპუბლიკაში შრომის დაცვის სფეროში მოქმედი რეგულაციები.